

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№1(288)
იანვარი
2021



**Don't let the fear of losing be greater
than the excitement of winning**



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 1 (288)

იანვარი

2021

მთავარი რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი მანანა გველესიანი

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ცისკარა ზარანდია; ნადეჟდა კვატაშიძე; ზურაბ ლიპარტია; გიორგი ნანუაშვილი;
დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე; რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე;
დავით ჯალაღონია; ელენე ხარაბაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად

რეგულირებად უძღვება **გაბი ალპერდაშვილი**

საწარმოს საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლები

მოდული „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“ 3

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

მოდულები „ფინანსური აღრიცხვა“ და „ფინანსური ანგარიშგება“ 8

კალკულაცია მიზნობრივი დანახარჯებითა და პროდუქტის სასიცოცხლო

ციკლის მიხედვით მოდული „საქმიანობის შედეგების მართვა“ 19

პრაქტიკული მოსაზრებები

პროფესიონალების მომზადება მომავლისთვის

ინდივიდუალური პრაქტიკის მექონე პირთა წინაშე არსებული

გამოწვევები და პროფესიული ორგანიზაციების მიერ

მათი დახმარების შესაძლებლობები 26

საბა ქაქაშია

IAASB აუდიტის ხარისხის მართვის სტანდარტებს აქვეყნებს 30

მყიფე ეკონომიკური თავდაჯერების მაჩვენებელი

2021 წლის დასაწყისში 31

ოფიციალური მასალები 33

კითხვა-პასუხი 77

ინფორმაცია ბირჟებიდან 81

შემეცნებითი გვერდი 84

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“. კოდი 220101830 ა/ა 7 467 286

ჟურნალი ააწყო და დააკაბადონა ნ. ყაველაშვილმა

გადაეცა წარმოებას 3.02.2021. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.02.2021.
ფორმატი 70x108 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5,25. ტირაჟი 1500

ფასი 6 ლარი

© ბაფი 2021 წელი ჟურნალი რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში
18.09.1997 წ. რეგისტრაციის № 4/4-1236

საწარმოს საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლები

მოდული „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“

მრავალი წლის განმავლობაში მარეგულირებელ ორგანოებსა და სტანდარტების დამდგენ ორგანოებს შორის მიმდინარეობდა დებატები იმის თაობაზე, საწარმოებმა როგორ უნდა წარმოადგინონ საუკეთესოდ თავიანთი საქმიანობის ფინანსური შედეგები და შეცდომაში არ შეიყვანონ მომხმარებლები.

- შესავალი
- არსებული პრაქტიკა
- მიზნების შეფასება

შესავალი

ბევრ იურისდიქციაში საწარმოს საქმიანობის შედეგების წარსადგენად შემოიღეს სტანდარტული ფორმატი ისე, რომ უშუალოდ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ნებადართული არ იყო დამატებითი ანალიზი/მონაცემების წარდგენა. სხვა იურისდიქციებმა საწარმოებს სხვადასხვა მეთოდის გამოყენების უფლება მისცეს „საბაზო“ ან „მდგრადობის“ მოგებისთვის.

მართალია, ფინანსური ანგარიშგება მზადდება ფინანსური ანგარიშგების სათანადო/კონკრეტულ იურისდიქციაში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, მაგრამ მომხმარებლები უფრო მეტ ინფორმაციას ითხოვენ და, როგორც ჩანს, საწარმოებსაც სურთ, მომხმარებლებს მისცენ თავიანთი ფინანსური ინფორმაციის გაგების შესაძლებლობა. ეს ინფორმაცია სხვადასხვანაირი იქნება სხვადასხვა საწარმოსთვის – დაწყებული საწარმოს საქმიანობის შედეგების დამატებითი ძირითადი მაჩვენებლებით და დამთავრებული უფრო მეტი ინფორმაციის გამჟღავნებით, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ცალკეული მუხლების შესახებ. საქმიანობის შედეგების ეს დამატებითი მაჩვენებლები შეიძლება მომხმარებლებს დაეხმაროს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაში, თუმცა, მათი სარგებლიანობა მაინც, გარკვეულწილად, ამ თვალსაზრისით შეზღუდულია.

არსებული პრაქტიკა

ამჟამად გავრცელებული პრაქტიკაა საქმიანობის შედეგების შესახებ შემდეგი დამატებითი მაჩვენებლების წარდგენა: ნორმატიული მოგება, შემოსავლები პროცენტისა და მოგების გადასახადის ხარჯამდე და შემოსავლები პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯამდე. ეს განსხვავებული მოგების ციფრები შეიძლება ნაჩვენები იყოს სხვადასხვა საინფორმაციო დოკუმენტში, მათ შორის კომპანიის პრესრელიზებსა და ანალიტიკურ ანგარიშებში. როგორც წესი, ალტერნატიული მოგების გამოთვლები არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოგების ციფრის შემადგენელი ელემენტების,

კერძოდ, კონკრეტული შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებს. გარდა ამისა, გამოთვლებში არ გაითვალისწინება ის შემოსავალი და ხარჯები, რომლებიც შესაფერისად არ მიიჩნევა იმ თვალსაზრისით, რომ შეუძლია გავლენის მოხდენა მოცემული წლის შედეგებზე, ან, როდესაც მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს სამომავლო შედეგებზე.

ამ უკანასკნელის მაგალითია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი. პროცენტისა და გადასახადის გამორიცხვა მომხმარებელს ეხმარება საწარმოს ოპერაციებიდან მიღებული შედეგებისა და დაფინანსებისა და გადასახადების გავლენის გათვალისწინებით გამოთვლილი შედეგების ერთმანეთისგან გამიჯვნაში.

საქმიანობის შედეგების ზემოაღნიშნული დამატებითი მაჩვენებლები შეიძლება მომხმარებლებს დაეხმაროს კომპანიის შედეგების უკეთ გაგებაში; მათი ცოდნა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს იმ თვალსაზრისით, რომ მომხმარებლებს დაეხმარება საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაში, ვინაიდან ეს მაჩვენებლები მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, უფრო უკეთ გაერკვნენ საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაში და შეაფასონ საწარმო, მისი მართვის ეფექტიანობის კუთხით. გარდა ამისა, ეს მაჩვენებლები შეიძლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყოს მომხმარებლებისთვის იმის გამოც, რომ უფრო ადვილად შეძლებენ ეკონომიკის ერთსა და იმავე სექტორში, დარგში, ბაზარსა თუ ეკონომიკურ რეგიონში მოქმედი საწარმოების საქმიანობის ერთმანეთთან შედარებას.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოაღნიშნულმა მაჩვენებლებმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ინფორმაციის მომხმარებელი იმის გამო, რომ, ვთქვათ, გამოთვლა მიკერძოებულად ჩატარდება სხვადასხვა წელს, გამოთვლებში გამოყენებული საფუძველი არ იქნება ერთგვაროვანი, მუხლები არ იქნება სწორად კლასიფიცირებული და, მაშასადამე, მიღებული ციფრები არ იქნება ნათელი და სარგებლის მომტანი. ხშირად საწარმოები საკმაოდ მცირე ინფორმაციას წარმოადგენენ ხოლმე შესაბამის დოკუმენტებში იმის შესახებ, როგორ გამოითვალეს ალტერნატიული მოგების ციფრი ან როგორ უნდა მოვიდეს შესაბამისობაში ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მოგების ციფრთან.

ამასთან, საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლებს ხშირად ისეთი ტერმინებით გამოსახავენ, რომლებიც არც საწარმოების მიერ არის განსაზღვრული და არც პროფესიულ ლიტერატურაშია განხილული და, მაშასადამე, მომხმარებლებმა შეიძლება ვერ შეძლონ მათი ადვილად გაგება.

საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლებია:

- საწარმოს ფინანსური შედეგების ამსახველი ნებისმიერი მაჩვენებელი, რომელიც კონკრეტულად არ არის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძველებში;
- ნებისმიერი მაჩვენებელი, რომელიც განკუთვნილია მოცემული კონკრეტული საწარმოს საქმიანობის ფიზიკური შედეგების საილუსტრაციოდ;
- ნებისმიერი მაჩვენებელი, რომელსაც საწარმო წარმოადგენს რეგულირებადი ინფორმაციის შემცველ საჯარო დოკუმენტებში, სხვა ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესასრულებლად (მაგ., რომლის გამჟღავნება მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით).

საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლების გამოყენების საილუსტრაციოდ განვიხილოთ იტალიის ტელეკომის 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება. ეს ანგარიშგება შეიცავს რამდენიმე დამატებით მაჩვენებელს, ასევე ფინანსური შედეგების ტიპურ, ტრადიციულ მაჩვენებლებს, რომლებიც მიიღება ფასს სტანდარტებიდან. კერძოდ, იტალიის ტელეკომის ანგარიშგებაში გამოყენებული იყო შემდეგი დამატებითი მაჩვენებლები:

EBITDA. იტალიის ტელეკომში, როგორც ჩანს, ამ მაჩვენებელს იყენებდნენ როგორც შიდა მოხმარებისთვის განკუთვნილი ფინანსურ საკონტროლო/სამიზნე მაჩვენებელს (ბიზნესგეგმებში), ისე კომპანიის გარეთ წარსადგენად (ანალიტიკოსებისა და ინვესტორებისთვის). კომპანია ამ კოეფიციენტს მიიჩნევს შეფასების სასარგებლო ბაზად ჯგუფისა და მშობელი საწარმოს საოპერაციო საქმიანობის შედეგების შესაფასებლად.

ორგანული (organic) ცვლილება ამონაგების, EBITDA და EBIT კოეფიციენტების. ეს მაჩვენებლები გამოხატავს ცვლილებებს ამონაგებასა და ზემოთ მოცემულ ორ კოეფიციენტში, რომლებშიც არ გაითვალისწინება კონსოლიდაციის მასშტაბში მომხდარი ცვლილების ეფექტი, საკუროს სხვაობებისა და სხვა არაგანმეორებადი მუხლების არაძირითადი კომპონენტების ცვლილების ეფექტი და არც სხვა არაძირითადი შემოსავალი და ხარჯები. ამონაგების, EBITDA და EBIT კოეფიციენტების ორგანული ცვლილება ასევე გამოიყენება ანალიტიკოსებისა და ინვესტორებისთვის მიწოდებულ მასალაში/ანგარიშებშიც.

წმინდა/ნეტო ფინანსური ვალი. იტალიის ტელეკომმა მიიჩნია, რომ წმინდა ფინანსური ვალი არის სწორი/მესაფერისი მაჩვენებელი ფინანსური ვალდებულებების შესრულების მისი უნარის წარმოსაჩენად. ეს მაჩვენებელი გამოთვლილი იყო შემდეგნაირად – მთლიან ფინანსურ ვალს გამოკლებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და სხვა ფინანსური აქტივები. კომპანიის ოპერაციების შესახებ მომზადებული ანგარიში მოიცავს ორ ცხრილს, სადაც მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან აღებული თანხები, რომლებიც გამოიყენეს ჯგუფისა და მშობელი საწარმოს ნეტო ფინანსური ვალის გამოსათვლელად.

კორექტირებული წმინდა/ნეტო ფინანსური ვალი. იტალიის ტელეკომმა შემოიღო ახალი მაჩვენებელი იმისათვის, რომ გამოერიცხა, თავისი არსით, წმინდა სააღრიცხვო ხასიათის გავლენა, რომელიც გამომდინარეობს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და შესაბამისი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასების პრინციპიდან.

მიზნების შეფასება

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო ახორციელებს ინიციატივას იმის გამოსაკვლევად, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშების განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული ინფორმაცია. პროექტი დაიწყო იმ შესაძლო მეთოდების, გზებისა და საშუალებების გამოსაკვლევად, რომლებიც მოაგვარებდა საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლების გამოყენებით გამოწვეულ პრობლემებს. ეს ინიციატივა რამდენიმე პროექტისგან შედგება. ამ პროექტებში განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად ბასს 1-ში გარკვეული ახსნა-განმარტების დამატება იმის თაობაზე, რომ ძალიან დიდი რაოდენობის დეტალებმა შეიძლება დაფაროს/ზუნდოვანი გახადოს სასარგებლო ინფორმაცია, ასევე მაგალითებთან ერთად დამატებითი ახსნა-განმარტებების შეტანა ბასს 1-ში იმის შესახებ, როგორ არის შემუშავებული ბასს 1-ის მოთხოვნები ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, ნაცვლად იმისა, რომ მითითებული იყოს ზუსტი ტერმინები, რომელთა გამოყენებაც სავალდებულო იქნებოდა საწარმოებისთვის. ეს მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას იმის თაობაზე, ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული ციფრების შუალედური შედეგები, როგორიცაა EBITDA და EBIT, უნდა აისახოს თუ არა ბასს 1-ში.

გაერთიანებულ სამეფოში ფინანსური ანგარიშების საბჭო მხარს უჭერს საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლების ჩართვას იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებლები ამით მიიღებენ დამატებით სასარგებლო, რელევანტურ ინფორმაციას. პირიქით, ავსტრიის ფინანსური ანგარიშების საბჭოს მიაჩნია, რომ ამგვარი მაჩვენებლები ფინანსური ანგარიშების მოქმედების სფეროს სცილდება. 2012 წელს გაერთიანებულ სამეფოში ფინანსური ბაზრების მარეგულირებელმა ორგანომ გამოსცა გზამკვლევი, საქმიანობის დამატებითი მაჩვენებლებისა და სხვა ტიპის ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნებასთან

დაკავშირებით, რომლებიც მომზადებული არ არის საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით, როგორც არის „საბაზო“ მოგება და EBITDA და EBIT.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ზოგიერთი საწარმო საქმიანობის შედეგების დამატებით მაჩვენებლებს იყენებს დამატებითი ან ოპტიმისტური სურათის წარმოსაჩენად, თავიანთი საქმიანობის უარყოფითი ასპექტების ამოღებით ამ მაჩვენებლებიდან. ამიტომ აშკარაა, რომ ამ სფეროში აუცილებელია სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება, მაგრამ ასევე აუცილებელია, დაბალანსებული უნდა იყოს მაჩვენებლების მომზადებისა და წარმოდგენისთვის საჭირო მოქნილობა და მომხმარებლებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება ამ დამატებითი მაჩვენებლების სარგებლიანობის შესაფასებლად.

ამასთან დაკავშირებით, ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების მარეგულირებელმა ორგანომ (ESMA) კონსულტაციები დაიწყო ამ საკითხებზე, ანუ საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კონსულტაციების მიზანია, ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობა და შესადარისობა გაუმჯობესდეს ისე, რომ, ამავე დროს, შემცირდეს ინფორმაციის ასიმეტრიულობა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შორის. გარდა ამისა, ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების მარეგულირებელ ორგანოს სურს, გააუმჯობესოს ერთგვაროვნება საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლების წარდგენისა და მათი გამოყენების საკითხში და აღადგინოს ნდობა ფინანსური ინფორმაციის სისწორისა და სარგებლიანობის მიმართ.

აქედან გამომდინარე, ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების მარეგულირებელმა ორგანომ შეიმუშავა გზამკვლევის (სახელმძღვანელოს) პროექტი, რომელიც ეხება საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლებში გამოყენებულ ცნებებსა და მათ აღწერას/სახელწოდებებს, მოიცავს სათანადო მითითებებს საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლების წარდგენისა და მათი გამოყენების ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად. ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოს ძირითადი მოთხოვნებია:

- თითოეულმა საწარმომ თვითონ უნდა განსაზღვროს თავისთვის/თავისი საქმიანობისთვის შესაფერისი საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლები, მათი გამოთვლის საფუძველი და მათი მნიშვნელობის ადეკვატური საზრიანი სახელწოდება;
- საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლები შესაბამისობაში უნდა იყოს ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- იმ დამატებითი მაჩვენებლებზე, რომლებიც გათვალისწინებული იქნება ფინანსური ანგარიშგების გარეთ სხვა დოკუმენტში, გამახვილებული არ უნდა იყოს გაუმართლებლად გადაჭარბებული ყურადღება;
- საწარმომ საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლებთან დაკავშირებით უნდა წარმოადგინოს შესადარისი მონაცემები, თითოეული მაჩვენებლის განმარტება და გამოთვლის მეთოდი წლების მანძილზე უცვლელი უნდა იყოს;
- თუ რომელიმე მაჩვენებელი აღარ გამოიყენება, საწარმომ უნდა მიუთითოს, რომ ეს მაჩვენებელი გაუქმებულია და ახსნას მისი გაუქმებისა და ახალი დამატებითი მაჩვენებლის შემოღების მიზეზები.

თუმცა, ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო/მითითებები შეიძლება გამოუსადეგარი აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ინფორმაციის მიწოდების დანახარჯი აღემატება მისგან მისაღებ სარგებელს, ან მომხმარებლებისთვის მიწოდებული ინფორმაცია შეიძლება არ იყოს სასარგებლო მომხმარებლებისთვის. როგორც ასეთი, უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ საწარმოებს მოუწევთ როგორც ამ მაჩვენებლების დანერგვის დანახარჯების, ისე სხვა მიმდინარე დანახარჯების გაწევაც. ამ სახელმძღვანელო მითითებებით მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილი თითოეულ საწარმოში უკვე მოგროვილი იქნება შიდა

გამოყენებისთვის, შიდა მმართველობითი მიზნებისთვის, მაგრამ შეიძლება წარმოდგენილი არ იყოს ისეთი ფორმატი, რომელიც დააკმაყოფილებს მათი საჯაროობის პრინციპებს.

ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების მარეგულირებელ ორგანოს მიაჩნია, რომ დანახარჯები არ იქნება მნიშვნელოვანი, ვინაიდან, როგორც წესი, საქმიანობის შედეგების ძირითადი მაჩვენებლები წლების მანძილზე არ უნდა იცვლებოდეს. ამგვარად, მიმდინარე დანახარჯები დაკავშირებული იქნება თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციის განახლებასთან ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. გარდა ამისა, ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების მარეგულირებელი ორგანო დარწმუნებულია, რომ ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოების გამოყენება გააუმჯობესებს საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლების აღქმადობას, რელევანტურობასა და შესაძარისობას.

ამ სახელმძღვანელოს გამოყენება მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმ კორექტირებების შესახებ, რომლებიც ხელმძღვანელობამ შეიტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ციფრებში. ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების მარეგულირებელი ორგანო დარწმუნებულია, რომ ეს ინფორმაცია მომხმარებლებს დაეხმარება იმაში, რომ საუკეთესო ბაზაზე დაყრდნობით გამოითვალონ საპროგნოზო მონაცემები და შეაფასონ სამომავლო ფულადი ნაკადები, ასევე დაეხმარება ანალიტიკოსებსა და შემფასებლებსაც. საწარმოთა მიერ მომხმარებლებისთვის ამ სახელმძღვანელოს მოთხოვნების შესაბამისად მიწოდებული ინფორმაცია გაზრდის გასამჟღავნებელი ინფორმაციის დონეს, მაგრამ, როგორც ასეთი, ამგვარმა რეჟიმმა უნდა გააუმჯობესოს საწარმოთა მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაციის ხარისხი. ეროვნული უფლებამოსილი ორგანოები იძულებული იქნებიან, დანერგონ ეს სახელმძღვანელოები თავიანთ იურისდიქციებში, მათზე დაკისრებული საზედამხედველო ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად და შექმნან ჩარჩოები, რომელთა შესაბამისად შეეძლება საწარმოებისთვის ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნა, საქმიანობის შედეგების დამატებითი მაჩვენებლების შესახებ.

სტატია მოამზადა საწარმოს სტრატეგიული
ანგარიშგების მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა,
ჟურნალი „Student accountant“, 2018 წლის ივლისი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

მოდულები „ფინანსური აღრიცხვა“ და „ფინანსური ანგარიშგება“

ამ სტატიაში განვიხილავთ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ვგულისხმობთ, რომ ამ საკითხების ცოდნა სტუდენტებს არ აქვთ მიღებული წინა ეტაპზე. სტატია გამოადგებათ „ფინანსური აღრიცხვის“ მოდულისა და „ფინანსური ანგარიშგების“ მოდულის გამოცდებზე გამსვლელ სტუდენტებს. სტატიაში ავხსნით, როგორ უნდა გამოვითვალოთ ფულადი ნაკადები და როგორ უნდა მოხდეს მათი წარდგენა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

შესავლის სახით

რას წარმოადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგება?

გსმენიათ ასეთი გამოთქმა – ფული მეფეა? ეს ტიპური და სავსებით შესატყვისი გამოთქმაა ბიზნესის სამყაროსთვის, რადგან ფული ნებისმიერი ბიზნესის სისხლია. ფულის გარეშე ვერ გადაიხდით ანგარიშ-ფაქტურებს, ვერ გააფართოებთ ბიზნესს აქტივების შეძენით, ვერც თანამშრომლებს გადაუხდით ხელფასს და უფრო მეტიც, საკუთარ თავსაც, როგორც ბიზნესის მფლობელს, ვერაფერს გადაუხდით (ვერც ხელფასს და ვერც დივიდენდს)!

შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა: **რისთვის გვჭირდება ფულადი ნაკადების ანგარიშგება**, თუ ჩვენ უკვე გვაქვს მოგებისა და ზარალის ანგარიშგება?

ამ კითხვის პასუხი ასეთია – მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შესაძლებელია ფანტასტიკური შედეგები იყოს ნაჩვენები სანარმოს შესახებ, უზარმაზარი მოგებით, მაგრამ კომპანიის საბანკო ანგარიშში შეიძლება „ცარიელი“ იყოს. ასეთ სიტუაციაში კი კომპანია დიდხანს ვერ შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას, ვერანაირად!

შეიძლება ისევ გაგიჩნდეთ კითხვა: **„კი მაგრამ, როგორ შეიძლება ასე მოხდეს?“**

ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ აკონტროლებს გასულ და შემოსულ ფულად ნაკადებს, გაყიდვების უდიდესი ნაწილი კრედიტით განახორციელა და დებიტორული დავალიანების ამოღება ნელა მიმდინარეობს (ვადაგადაცილებით), ამიტომ აღარ აქვს ფული ბანკის ანგარიშზე – ვერ იხდის ვერანაირ ვალდებულებას და, მაშასადამე გარდუვალად კრახი ემუქრება.

და მაინც, რატომ არის მნიშვნელოვანი ფულადი ნაკადების ანგარიშგება?

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ბევრი მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი.

რაც ყველაზე მთავარია – კომპანიას ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს, თავისი ფულადი მდგომარეობის შესახებ. თუ კომპანია არ აკონტროლებს ფულად ნაკადებს, შესაძლებელია, ვერ განსაზღვროს ტენდენციები ფულადი ნაკადების მართვაში, რაც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს კომპანიის ბიზნესის ფინანსურ სიჯანსაღეზე. მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება კომპანიის ბიზნესი რენტაბელური (მოგებიანი) ჩანდეს, მაგრამ თუნდაც მხოლოდ დებიტორული დავალიანებების ამოღების არაადამაკმაყოფილებელმა მდგომარეობამ შეიძლება წარმოქმნას „სუსტი“ ადგილი, რაც კომპანიას არ მისცემს ფინანსური ვალდებულებების შესრულების საშუალებას.

იმისათვის, რომ კომპანიას ზუსტი წარმოდგენა ჰქონდეს ფულადი სახსრების მოძრაობისა და მდგომარეობის თაობაზე და არ აღმოჩნდეს გამოუვალ სიტუაციაში, რომლის შესახებაც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელია, მან შეადგინოს ფულადი ნაკადების ანგარიშგება.

სწორედ ფულადი ნაკადების ანგარიშგება გვაძლევს სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციას, კომპანიის ფულადი სახსრების დონის მდგომარეობის თაობაზე. ეს არის ფინანსური ანგარიშგება, სადაც ასახულია ყველანაირი ფულადი ნაკადი, რომელიც რეალურად შემოდის საწარმოში და გადის საწარმოდან, ასევე გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას საბრუნავი კაპიტალის ოდენობის შესახებ, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. აქ ჩანს ყველანაირი ფულადი ნაკადი, რომელიც შემოვიდა გაყიდვებიდან, მაგრამ არ ჩანს საქონლის კრედიტით გაყიდვები, რომლის თანხებიც ფაქტობრივად, ჯერ არ მიუღია კომპანიას (და მაშასადამე, არ ქმნის „მაცდუნებელ“ სურათს, ფულადი სახსრების პოზიციის შესახებ და კომპანია, რომელიც აკონტროლებს თავის ფულად ნაკადებს, აანალიზებს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, არ გაეზიარება ხაფანგში და არ შეექმნება ფულადი სახსრების დეფიციტი და გამოუვალი მდგომარეობა).

გარდა ამისა, ფულადი ნაკადების ანგარიშგება არ გვიჩვენებს არც ისეთ მასალას, აქტივებსა და სხვა მუხლებს, რომლებიც კომპანიამ კრედიტით შეიძინა, მაგრამ ჯერ არ გადაუხდია მომწოდებლების დავალიანება.

მოკლედ თუ ვიტყვით და შევაჯამებთ ფულადი ნაკადების აუცილებლობისა და მნიშვნელობის საკითხს, დასკვნა ასეთი იქნება:

სწორედ ფულადი ნაკადების ანგარიშგება არის საზომი იმისა, რამდენად კარგად შეუძლია კომპანიას ფულადი სახსრების გენერირება, რაც აუცილებელია საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად (ასე ვთქვათ, კომპანიის საქმიანობის გასაგრძელებლად) და თავისი ვალდებულებების შესასრულებლად.

ფულადი ნაკადების გამოთვლა

ფულადი ნაკადები არის ფული, რომელსაც საწარმო იღებს (ე.ი. საწარმოში შემოდის ფულადი ნაკადები და, მაშასადამე, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ეს თანხები წარმოდგენილია როგორც დადებითი რიცხვი) ან რომელსაც იხდის საჭიროებისამებრ (ე.ი. ფულადი ნაკადები გადის საწარმოდან და, მაშასადამე, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ეს თანხები წარმოდგენილი იქნება როგორც უარყოფითი რიცხვი ანუ ჩასმული იქნება ფრჩხილებში).

როგორც წესი, ფულადი ნაკადები გამოითვლება, როგორც „ნარჩენი“ ციფრი (სხვაობა). მაგალითად, როდესაც აქტივის, ვალდებულების ან საკუთარი კაპიტალის ელემენტის საწყისი ნაშთი შეუდარდება მათ საბოლოო ნაშთს, მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ან/და დამატებითი შენიშვნების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, დამატალანსებელი ციფრი, როგორც წესი, არის ფულადი ნაკადი.

ფულადი ნაკადის გამოთვლის ტიპური სცენარი მოიცავს გადასახადის გადახდას, რაც არის საოპერაციო საქმიანობის ფულადი სახსრების გასვლა საწარმოდან, გადახდას ძირითადი საშუალებების შესაძენად, საინვესტიციო საქმიანობის ფულადი სახსრების გასვლა და დივიდენდების გადახდა და საფინანსო საქმიანობის ფულადი სახსრების გასვლა. ჩვენ ახლა მაგალითების მეშვეობით ვაჩვენებთ ფულადი ნაკადების მოძრაობის სამივე მაგალითს.

სავარჯიშო. გადახდილი გადასახადის გამოთვლა

საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში კომპანიას აქვს \$50 საგადასახადო ვალდებულება, ხოლო საანგარიშგებო თარიღისთვის – \$90. წლის განმავლობაში მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დარიცხული საგადასახადო ხარჯი იყო \$100.

მოგეთხოვებათ

გამოითვალოთ გადახდილი გადასახადი.

ამოხსნა

აუცილებელია, რომ საგადასახადო ვალდებულების საწყისი ნაშთი შევაჯეროთ საგადასახადო ვალდებულების საბოლოო ნაშთთან, რათა გამოვავლინოთ ფულადი ნაკადი, როგორც დამაბალანსებელი ციფრი, ანუ ამ შემთხვევაში გადახდილი გადასახადი. ვერტიკალურად წარმოდგენილი ციფრების წინ, სვეტიდან ჩანს ციფრების წყარო.

საგადასახადო ვალდებულება	\$	ახსნა
საწყისი ნაშთი	50	საკრედიტო ნაშთი
მოგების გადასახადის ხარჯი	100	მოგების გადასახადის ხარჯი მოგებაში ან ზარალში ნიშნავს, რომ საწარმოს ახლა მეტი გადასახადი აქვს გადასახდელი. სადებეტო ციფრი, როგორც ხარჯი გადაიტანება მოგებაში ან ზარალში და საგადასახადო ვალდებულების ანგარიშის კრედიტში ასახული თანხა გვიჩვენებს საგადასახადო ვალდებულების ზრდის შედეგს.
შუალედური ჯამი	150	ეს შუალედური ჯამური ციფრი გვიჩვენებს საგადასახადო ვალდებულების ოდენობას, რომელიც საწარმოს ექნებოდა საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით იმ შემთხვევაში თუ გადასახადს არ გადაიხდიდნენ.
ფულადი ნაკადი — გადასახადის გადახდა	60	ეს არის ბოლო ციფრი, რომელიც შეჯერებაში მონაწილეობს. ეს არის დამაბალანსებელი ციფრი და გვიჩვენებს. წლის ბოლოს არსებული ფაქტობრივი საგადასახადო ვალდებულება რატომ არის უფრო მცირე, ვიდრე შუალედური ჯამი.
საბოლოო ნაშთი	90	ეს არის საგადასახადო ვალდებულების საბოლოო ნაშთი.

ჩვენ მიერ განხილული მეთოდი არის ფულადი ნაკადების გამოვლენის მარტივი მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება: ავიღებთ ამა თუ იმ მუხლის საწყის ნაშთს (ამ შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულებას) და დავუმატებთ (ან გამოვაკლებთ) არაფულადი ოპერაციების თანხას, რომელმაც გამოიწვია მუხლის ცვლილება, რათა შემდეგ გამოვავლინოთ ფაქტობრივი ფულადი ნაკადი, როგორც დამაბალანსებელი ციფრი.

სავარჯიშო. ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრების გამოთვლა

საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში კომპანიას აქვს ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულებაა \$100. საანგარიშგებო თარიღისთვის ძირითად საშუალებებს აქვს \$300 საბალანსო ღირებულება. წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებზე დარიცხული იყო \$20 ცვეთა, აღრიცხული იყო \$60 გადაფასების ნამეტი, ხოლო \$15 საბალანსო ღირებულების მქონე ძირითადი საშუალება გაიყიდა \$20-ად.

მოგეთხოვებათ

გამოითვალეთ ახალი ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები.

ამოხსნა

აქ ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ ძირითადი საშუალებების საწყისი ნაშთი და შევაჯეროთ საბოლოო ნაშთთან – კერძოდ, უნდა გავაკორექტიროთ იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც მოხდა პერიოდის განმავლობაში და არ იყო ფულადი ნაკადები. დამაბალანსებელი ციფრი არის ახალი ძირითადი საშუალების შესაძენად დახარჯული ფულადი სახსრები.

ძირითადი საშუალებები	\$	ახსნა
საწყისი ნაშთი	100	სადებეტო ნაშთი
ცვეთა	(20)	ცვეთა ამცირებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას ისე, რომ არ წარმოიქმნება ფულადი ნაკადი. ცვეთისთვის ორადი გატარება იქნება დებეტი მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, რათა აისახოს ხარჯი, ხოლო კრედიტი აქტივი, რათა აისახოს მისი მოხმარება.
გადაფასების ნამეტი	60	გადაფასებით წარმოქმნილი შემოსულობა ძირითად საშუალებას ისე ზრდის, რომ არ წარმოიქმნება ფულადი ნაკადი. შესაბამისი ორადი გატარება იქნება კრედიტი გადაფასების ნამეტი, რათა აისახოს გადაფასების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა, ხოლო დებეტი აქტივი (ძირითადი საშუალება), რათა აისახოს მისი ზრდა.
გასვლა	(15)	იმ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება, რომელიც გაიყიდა, ამცირებს ძირითად საშუალებებს და, მაშასადამე, ორადი გატარებისთვის კრედიტი იქნება აქტივის ანგარიში, რომელიც შემდეგ გადაიტანება როგორც დებეტი აქტივების გასვლის ანგარიშში.
შუალედური ჯამი	125	ეს შუალედური ჯამი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების იმ ნაშთს, რომელიც საწარმოს მაშინ ექნებოდა, თუ ძირითადი საშუალება ფულზე არ გაიყიდებოდა.
ფულადი ნაკადი – ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფული	175	ეს არის საბოლოო ციფრი, რომელიც შეჯერებაში მონაწილეობს. ეს დამაბალანსებელი ციფრი გვიჩვენებს, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ფაქტობრივი ძირითადი საშუალებები რატომ არის უფრო მეტი, ვიდრე შუალედური ჯამი.
	300	

მიაქციეთ ყურადღება: ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა (\$20) ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენები იქნება როგორც ფულადი სახსრების შემოსვლა საინვესტიციო საქმიანობიდან. ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული მოგება \$5 (\$20-\$15) უნდა გაკორექტირდეს საოპერაციო საქმიანობის არაფულადი მუხლის გასათვალისწინებლად (იხ. მოგვიანებით).

სავარჯიშო. გადახდილი დივიდენდების გამოთვლა

საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში კომპანიას ჰქონდა გაუნაწილებელი მოგება \$500, ხოლო საანგარიშგებო თარიღისთვის გაუნაწილებელი მოგება არის \$700. სააღრიცხვო ჩანაწერების მიხედვით, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში წარმოქმნილი წლიური მოგება იყო \$450.

მოგეთხოვებათ

გამოითვალოთ გადახდილი დივიდენდები.

ამოხსნა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნდა გამოვავლინოთ ფულადი ნაკადი, ამ შემთხვევაში გადახდილი დივიდენდები. ამიტომ უნდა შევაჯეროთ საწყისი ნაშთი საბოლოო ნაშთთან, ამ შემთხვევაში გაუნაწილებელი მოგების ნაშთები (საიდანაც ხდება დივიდენდების გადახდა). ეს გაანგარიშება, ფაქტობრივად, არის ამონარიდი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებიდან.

გაუნაწილებელი მოგება	\$	ახსნა
საწყისი ნაშთი	500	საკრედიტო ნაშთი
საანგარიშგებო წლის მოგება	450	წლის მოგება აისახება კრედიტში და ზრდის გაუნაწილებელ მოგებას.
შუალედური ჯამი	950	ეს შუალედური ჯამი გვიჩვენებს გაუნაწილებელი მოგების იმ ნაშთს, რომელიც ექნებოდა საწარმოს იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდებს არ გადაიხდიდა.
ფულადი ნაკადი – გადახდილი დივიდენდები	250	ეს არის ბოლო ციფრი, რომელიც მონაწილეობს შეჯერებაში. გადახდილი დივიდენდების ეს დამაბალანსებელი ციფრი გვიჩვენებს, რატომ არის საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ფაქტობრივი გაუნაწილებელი მოგება ნაკლები.
საბოლოო ნაშთი	700	

ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია

ბასს 7 – „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ – მოითხოვს, რომ საწარმომ ფულადი ნაკადების ანგარიშგება წარმოადგინოს თავისი ძირითადი ფინანსური ანგარიშგების პაკეტის განუყოფელი ნაწილის სახით. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ფულადი ნაკადები კლასიფიცირებული და წარმოდგენილია სამი ქვესათაურით:

- საოპერაციო საქმიანობა;
- საინვესტიციო საქმიანობა; და
- საფინანსო საქმიანობა.

საოპერაციო საქმიანობის წარდგენა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, სტანდარტის მიხედვით, შესაძლებელია ორნაირად.

პირველი მეთოდი არის **პირდაპირი მეთოდი**, რომელიც გვიჩვენებს საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილ ფაქტობრივ ფულად ნაკადებს – მაგალითად, მომხმარებელიდან მიღებული ფული და მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფული.

მეორე მეთოდია **არაპირდაპირი მეთოდი**, რომლის დროსაც ფულადი ნაკადების გამოთვლა იწყება დაბეგვრამდე მოგების ციფრით (რომელიც ასახულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში). შემდეგ ხდება ამ ციფრის კორექტირება (შეჯერება) საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრებით. ორივე ამ მეთოდის დროს გადახდილი პროცენტი და გადახდილი გადასახადი შემდეგ წარდგენილი იქნება როგორც ფულადი სახსრების გასვლა – გამოიქვითება/გამოაკლდება საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრებიდან.

საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადები ისეთი ფულადი ნაკადებია, რომლებიც დაკავშირებულია გრძელვადიან აქტივებთან, მათ შორის ინვესტიციებთან. საინვესტიციო ფულადი ნაკადების მაგალითებია, ფულადის სახსრების გასვლა ძირითადი საშუალებების შესაძენად, გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი და ნებისმიერი ფულადი სახსრები, რომელსაც სანარმოო მიიღებს (ამოიღებს) განხორციელებული ინვესტიციებიდან.

საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადები დაკავშირებულია იმ ფულად სახსრებთან, რომლებიც წარმოიშობა სანარმოს მიერ გამოყენებული დაფინანსების მეთოდის შედეგად. სანარმოები ფინანსდებიან მესამე მხარეებისგან ნასესხები სახსრებით (ვალი) და ასევე აქციონერებისგან (საკუთარი კაპიტალი). საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების მაგალითებია ახალი სესხის შედეგად სანარმოში შემოსული ფულადი სახსრები ან დავალიანების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები, ასევე აქციონერებთან წარმოებული ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები, მაგალითად ფულადი სახსრების მიღება/შემოსვლა ახალი აქციების ემისიის შედეგად, ან აქციონერებისთვის გადახდილი ფული დივიდენდების ფორმით.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების თემა უფრო ღრმად მოწმდება „ფინანსური ანგარიშგების“ მოდულის გამოცდაზე, ვიდრე „ფინანსური აღრიცხვის“ მოდულის გამოცდაზე. მაგალითად ფინანსური აღრიცხვის გამოცდაზე შეიძლება მოგეთხოვებოდეთ მთლიანი ფულადი ნაკადების ანგარიშგება ან მისი ამონარიდი მრავალვარიანტულ კითხვაში, მაგრამ შეიძლება ამ თემასთან დაკავშირებული საკითხები შეტანილი იყოს ობიექტურ კითხვაშიც. თუმცა, „ფინანსური ანგარიშგების“ მოდულის გამოცდაზე უფრო მოსალოდნელია, რომ მოგთხოვენ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ამონარიდის მომზადებას უფრო რთული ოპერაციების გამოყენებით (მაგალითად, ძირითადი საშუალებების შეძენა აქტივის გამოყენების უფლების იჯარის მეშვეობით). თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ფინანსური ანგარიშგების“ მოდულის გამოცდაზე არასდროს მოგთხოვენ მთლიანი ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადებას.

საოპერაციო საქმიანობა – არაპირდაპირი მეთოდი და პირდაპირი მეთოდი

არსებობს ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის ორი მეთოდი, როგორც ბასს 7-ში უწოდებენ ორ ნებადართულ მიდგომას – საოპერაციო საქმიანობის წარდგენის „პირდაპირი“ ან „არაპირდაპირი“ მეთოდი.

პირდაპირი მეთოდი უფრო თვალსაჩინო მეთოდია, ვინაიდან იმას ნიშნავს, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება იწყება საოპერაციო ფულადი ნაკადების წყაროდან (შემოსული ფულადი სახსრებიდან). მაშასადამე, ეს არის, ერთი მხრივ, სანარმოში შემოსული ფულადი სახსრები – მომხმარებლებისგან მიღებული ფული; მეორე მხრივ, საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების გასვლა, ანუ ფულის გადახდა ხელფასებისთვის, მომწოდებლებისთვის და სხვა საოპერაციო ხარჯების დასაფარად, რომელიც გამოიქვითება გამოთვლებში. ბოლოს გამოიქვითება პროცენტისა და გადასახადის გადახდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოთვლისთვის საჭირო მონაცემების მოპოვება შესაძლებელია სანარმოს სააღრიცხვო ჩანაწერებიდან და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებიდან.

პირდაპირი მეთოდისგან განსხვავებით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არაპირდაპირი მეთოდის დროს ფულადი ნაკადების გამოთვლა იწყება დაბეგვრამდე მოგების ციფრით, შემოსული ფულადი სახსრების ნაცვლად. შემდეგ დაბეგვრამდე მოგების ციფრი გაკორექტირდება სანარმოში შექმნილი ფულადი სახსრებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშების დასაწყისში არსებული ციფრები საერთოდ არ არის ფულადი ნაკადები. თავდაპირველი შეჯერების დროს დაბეგვრამდე მოგება გაკორექტირდება იმ ხარჯებით, რომლებიც დარიცხულია მოგების საპირისპიროდ, მაგრამ არ წარმოადგენს ფულადი სახსრების გასვლას სანარმოდან. მაგალითად, ცვეთა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ზარალი **დაემატება** მოგებას და ასევე არაფულადი შემოსავალიც; მაგალითად, გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება და საინვესტიციო შემოსავალი **გამოიქვითება/გამოაკლდება**.

მარაგების, სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და სავაჭრო კრედიტორული დავალიანების (საბრუნავი კაპიტალი) ცვლილება გავლენას არ ახდენს მოგების მაჩვენებელზე, მაგრამ ეს ცვლილებები გავლენას იქონიებს ფულად სახსრებზე და, მაშასადამე, კიდევ იქნება საჭირო დამატებითი კორექტირებები.

მაგალითად, მარაგების დონის ზრდა და დებიტორული დავალიანების დონის ზრდა გავლენას არ იქონიებს დაბეგვრამდე მოგებაზე, მაგრამ უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის ფულად ნაკადებზე. აქედან გამომდინარე, შეჯერების/კორექტირების პროცესში მარაგებისა და სავაჭრო დებიტორული დავალიანების ზრდა აკლდება დაბეგვრამდე მოგების ციფრს. ეს იმით აიხსნება, რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანების ზრდა მოგების ისეთი ნაწილია, რომელიც არ არის რეალიზებული ფულად სახსრებში, უბრალოდ არსებობს სააღრიცხვო ჩანაწერებში, დებიტორული დავალიანების ციფრში, ხოლო მარაგების ზრდა, როგორც ასეთი, ამცირებს ფულად სახსრებს. პირიქით, მარაგის ან დებიტორული დავალიანების შემცირება დაემატება დაბეგვრამდე მოგებას, რადგან მათი შემცირების შედეგად ხდება დამატებითი ფულადი სახსრების გამონთავისუფლება.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ზრდის ან შემცირების გასათვალისწინებლად საპირისპიროდ განხორციელდება კორექტირება – სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ზრდა (ზრდის თანხა) დაემატება დაბეგვრამდე მოგებას (ამცირებს ფულად სახსრებს), ხოლო შემცირება (შემცირების თანხა) აკლდება დაბეგვრამდე მოგებას, დასასრულ, პროცენტისა და გადასახადის გადახდა, როგორც წესი, წარდგენილი იქნება, როგორც დამატებითი გამოქვითვა.

შემდეგ სავარჯიშოებში ილუსტრირებულია ფულადი ნაკადების ანგარიშების საოპერაციო საქმიანობის ნაწილის/განყოფილების წარდგენის როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდი.

სავარჯიშო. პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები

ამონარიდები ფინანსური ანგარიშგებიდან

	\$
საოპერაციო მოგება	80,000
საინვესტიციო შემოსავალი	12,000
ფინანსური დანახარჯები	(10,000)
მოგება დაბეგვრამდე	82,000
მოგების გადასახადი	(32,000)
წლის მოგება	50,000
სხვა სრული შემოსავალი	
გადაფასების შემოსულობა	40,000
სულ სრული შემოსავალი	90,000

	საბოლოო ნაშთი \$	საწყისი ნაშთი \$
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგი	30,000	25,000
დებიტორული დავალიანება	20,000	26,000
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	14,000	11,000

დამატებითი ინფორმაცია

წლის განმავლობაში მოგების ანგარიშში აისახა \$50,000 ცვეთა და \$40,000 ამორტიზაცია.

მომხმარებლებიდან და რეალიზაციიდან მიღებულმა ფულადმა სახსრებმა ერთად შეადგინა \$800,000, მომწოდებლებისთვის შეძენილი მასალისთვის გადახდილმა ფულადმა სახსრებმა – \$400,000, სხვა საოპერაციო საქმიანობისთვის დაიხარჯა – \$100,000, ხოლო მომუშავეებისთვის და მომუშავეთა სახელით გადახდილმა ფულადმა სახსრებმა შეადგინა \$126,000. კომპანიამ გადაიხადა \$12,000 პროცენტის თანხა და მოგების გადასახადი – \$13,000.

მოგეთხოვებათ:

- პირდაპირი მეთოდის გამოყენებით მოამზადოთ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ამონარიდი – საოპერაციო საქმიანობის განყოფილება;
- არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროთ ფულადი ნაკადების ანგარიშგების საოპერაციო საქმიანობის ნაწილის/განყოფილების მუხლები.

პასუხი. (ა) პირდაპირი მეთოდი

პირდაპირი მეთოდი შედარებით მარტივია, ვინაიდან გამოთვლებში მონაწილე ყველა მონაცემი ფულადი ნაკადებია. მაშასადამე, რეალურად ეს ის შემთხვევაა, როდესაც გვაქვს მიღებული ფულადი სახსრების ჩამონათვალი როგორც დადებითი ციფრები, ხოლო გადახდილი ფულადი სახსრები – როგორც უარყოფითი ციფრები.

საოპერაციო საქმიანობა – პირდაპირი მეთოდი	\$
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	800,000
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(400,000)
მომუშავეებისთვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(126,000)
საოპერაციო საქმიანობისთვის გადახდილი სხვა ფულადი სახსრები	(100,000)
ოპერაციებიდან შემოსული ფულადი სახსრები	174,000
გადახდილი პროცენტი	(12,000)
გადახდილი გადასახადი	(13,000)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	149,000

პასუხი (ბ) – არაპირდაპირი მეთოდი

არაპირდაპირი მეთოდის ცოდნა, როგორც წესი, უფრო ხშირად მოწმდება გამოცდაზე. როგორც აღვნიშნეთ, ამ მეთოდის დროს ფულადი ნაკადების გამოთვლას ვინყებთ დაბეგვრამდე მოგების ციფრით, რომელსაც ვუმატებთ ყველანაირ დარიცხულ არაფულად ხარჯს და ვაკლებთ არაფულად შემოსავალს და მიღებულ ციფრს ვაკორექტირებთ საბრუნავ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად. აქ, ფაქტობრივად,

მხოლოდ ორი ფულადი ნაკადი გვაქვს – გადახდილი პროცენტი და გადახდილი მოგების გადასახადი. კარგად უნდა შეისწავლოთ და დაიმახსოვროთ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფორმატი – ეს არის მთავარი იმისათვის, რომ წარმატებით უპასუხოთ ამგვარ კითხვებს გამოცდაზე.

საოპერაციო საქმიანობა – არაპირდაპირი მეთოდი		\$
საოპერაციო საქმიანობა		
მოგება დაბეგვრამდე		82,000
საინვესტიციო შემოსავალი		(12,000)
ფინანსური დანახარჯი		10,000
ცვეთა		50,000
ამორტიზაცია		40,000
მარაგის ზრდა (30,000 — 26,000)		(5,000)
დებიტორული დავალიანების შემცირება (20,000 — 26,000)		6,000
კრედიტორული დავალიანების ზრდა (14,000 — 11,000)		3,000
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		174,000
გადახდილი პროცენტი		(12,000)
გადახდილი მოგების გადასახადი		(13,000)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		149,000

მიაქციეთ ყურადღება. ნებისმიერ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომელ მეთოდს გამოვიყენებთ, საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრების ციფრი ერთი და იგივე იქნება.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფორმატი – არაპირდაპირი მეთოდი

თქვენ შეიძლება მოგთხოვონ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება. ქვემოთ მოცემულია სანიმუშო ფორმა, რომელიც განკუთვნილია არაპირდაპირი მეთოდით მომზადებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის:

1. საოპერაციო საქმიანობა	
მოგება დაბეგვრამდე	X
საინვესტიციო შემოსავალი	(X)
ფინანსური დანახარჯი	X
ცვეთა	X
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	X
მოგებაში ან ზარალში აღრიცხული გაუფასურების ზარალი	X
აქტივების გაყიდვიდან მიღებული ზარალი (მოგება)	X/(X)
ანარიცხების ზრდა (შემცირება)	X/(X)
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები	
მარაგების ზრდა/შემცირება	X/(X)
დებიტორული დავალიანებისა და წინასწარგადახდილი ხარჯების ზრდა/შემცირება	X/(X)

სავაჭრო კრედიტორული დავალიანებისა და დარიცხვების ზრდა/შემცირება	X/(X)
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	X
გადახდილი პროცენტი	(X)
გადახდილი მოგების გადასახადი	(X)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	X

2. საინვესტიციო საქმიანობა

ძირითადი საშუალების/არამატერიალური აქტივების /ინვესტიციების შეძენა	(X)
ძირითადი საშუალების/არამატერიალური აქტივების /ინვესტიციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	X
ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები	X
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	X

3. საფინანსო საქმიანობა

შემოსულობა აქციების ემისიიდან	X
გადახდილი დივიდენდები	(X)
შემოსულობა გრძელვადიანი სესხებიდან	X
გადახდა სესხის დასაფარად	(X)
ფინანსური იჯარის ვალდებულებების დაფარვა	(X)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან/საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	X/(X)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტის ცვლილება	X/(X)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტის საწყისი ნაშთი	X/(X)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტის საბოლოო ნაშთი	X/(X)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად გარდაიქმნება ფულადი სახსრების ცნობილ ოდენობაში და ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს ექვემდებარება.

როდესაც ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს ვანგარიშობთ, ბანკის ოვერდრაფტი მიჩნეული უნდა იყოს როგორც ფულადი სახსრების უარყოფითი ნაშთი.

დასკვნის სახით

გამოცდაზე შეიძლება მოგთხოვონ ფულადი ნაკადების ანგარიშგების (ან ამონარიდის) მომზადება, გატარებების ან კომპანიის მიერ განხორციელებული ოპერაციების გამოყენებით. თქვენ კარგად უნდა გქონდეთ დასწავლილი ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფორმატი, ვინაიდან შეიძლება მოგთხოვონ ოპერაციებისთვის შესაფერისი დასათაურების შერჩევა.

თითოეული გამოთვლილი ფულადი ნაკადისთვის შეიძლება მოგთხოვონ იმის განაზღვრა, ეს თანხა უნდა „დაემატოს“, თუ უნდა „გამოაკლდეს“, გამოთვლებში, ამიტომ დარწმუნდით, რომ საკმარისად მოემზადეთ და ერკვევით ამ საკითხებში.

გამომცდელის რჩევა

რჩევის სახით, სტუდენტების ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე სფეროზე, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადებისთვის და, მაშასადამე, აუცილებელია მათი ცოდნა გამოცდაზე წარმატების მისაღწევად:

- ნუ გამოიჩინებთ „სულსწრაფობას“ ფულადი ნაკადების გამოთვლებისას – დარწმუნდით, რომ სწორად განსაზღვრეთ ცვლილებები მოცემულ და წინა საანგარიშგებო წელს შორის;
- ისწავლეთ, როგორ გამოითვლება საანგარიშგებო წლის მანძილზე გადახდილი მოგების გადასახადი და დივიდენდები (დივიდენდები ყოველთვის არ არის მოცემული კითხვაში);
- სიფრთხილე გამოიჩინეთ, როდესაც კითხვა ეხება **აქტივების გასვლას**. გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება(ზარალით) უნდა გაკორექტირდეს საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები. გახსოვდეთ, გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ზარალი **დაემატება** დაბეგვრამდე მოგებას, ხოლო გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება – **გამოაკლდება**. აქტივების გასვლის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები ნაჩვენები უნდა იყოს საინვესტიციო საქმიანობის განყოფილებაში, ხოლო გაყიდული აქტივის საბალანსო ღირებულება კომპანიამ უნდა ამოიღოს ძირითადი საშუალებების რეესტრიდან (საზოგადოდ, ერთი აქტივის გაყიდვა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში 3 შედეგს იწვევს, როგორც უკვე ვნახეთ);
- ასევე არ დაგავიწყდეთ და არ აგერიოთ, როგორ გაკორექტირდება დაბეგვრამდე მოგება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ზრდის (შემცირების) გასათვალისწინებლად.

*თავდაპირველად ტომ კლენდონის მიერ მომზადებული
სტატია განახლებულია „ფინანსური ანგარიშგების“
მოდულის საგამოცდო კომისიის წევრის მიერ.*

ჟურნალი „Student accountant“, 2018 წლის დეკემბერი

კალკულაცია მიზნობრივი დანახარჯებითა და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით

მოდული „საქმიანობის შედეგების მართვა“

კალკულაცია მიზნობრივი დანახარჯებით და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით მმართველობით აღრიცხვაში შედარებით თანამედროვე მიდგომად მიიჩნევა, ამიტომ უმჯობესია, ვერ დანახარჯების კალკულაციის ტრადიციული მიდგომა განვიხილოთ.

ამ სტატიაში შევეცდებით, მაქსიმალურად მარტივად ავუხსნათ სტუდენტებს დანახარჯთა კალკულაციის ზემოაღნიშნული მეთოდების არსი და გამოთვლის მეთოდები, მათ შორის მარტივი მაგალითების გამოყენებით.

როგორც წესი, დანახარჯების კალკულაციის ტრადიციული მიდგომის დროს წარმოებული პროდუქტის ერთეულის დანახარჯები გამოითვლება იმ რესურსების დანახარჯების გაერთიანებით, რომლებიც მიმდინარე პერიოდში გამოიყენება ან მოიხმარება. ამგვარად, თითოეული წარმოებული ერთეულისთვის გაითვალისწინება კლასიკური დანახარჯები: მასალების ცვლადი დანახარჯები, პირდაპირი შრომითი და ცვლადი ზედნადები ხარჯები (ამ დანახარჯების ჯამი არის წარმოების ზღვრული დანახარჯი), ასევე მუდმივი საწარმოო დანახარჯების წილი. მუდმივი საწარმოო დანახარჯების ჩართვა კალკულაციაში შესაძლებელია ტრადიციული მეთოდის, კერძოდ ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთის გამოყენებით (კალკულაცია დანახარჯთა სრული განაწილებით), ან მათი გათვალისწინება შეიძლება საქმიანობის სახეების მიხედვით დანახარჯების კალკულაციის მეთოდით. დანახარჯების კალკულაცია საქმიანობის სახეების მიხედვით გაცილებით უფრო რთულია, მაგრამ უდევოდ უფრო ზუსტ შედეგებს იძლევა. თუმცა, ორივე შემთხვევაში – როგორც ზედნადები ხარჯების შთანთქმის მეთოდის დროს, ისე საქმიანობის სახეების მიხედვით დანახარჯების კალკულაციის მეთოდის დროს დანახარჯებში გაერთიანებული ზედნადები ხარჯები, როგორც წესი, მიმდინარე პერიოდის საბიუჯეტო ზედნადებ ხარჯებს ეყრდნობა.

მას შემდეგ, რაც გამოითვლება წარმოებული ერთეულებისთვის მთლიანი შთანთქმული დანახარჯი, პროდუქტის ერთეულის გასაყიდი ფასისა და მოგების დასადგენად გამოიყენებენ ფასსამატს (ან საერთო მოგების მარჟას). ფასსამატის პროცენტს იმგვარად არჩევენ, რომ კომპანიამ მოგება უნდა მიიღოს, თუ მიიღწევა საბიუჯეტო რეალიზაციის დონე.

ამ მიდგომას ორი ნაკლი აქვს:

1. პროდუქტის ფასი ეყრდნობა მის თვითღირებულებას, მაგრამ შეიძლება ამ ფასად არავინ მოისურვოს მისი ყიდვა. პროდუქტს შეიძლება ისეთი პარამეტრები (მახასიათებლები) ჰქონდეს, რომლებსაც მომხმარებლები არ აფასებენ და ამიტომ შეიძლება არ მოისურვონ მისთვის ფულის გადახდა, ასევე შესაძლებელია, რომ კონკურენტების პროდუქტია უფრო იაფი იყოს, ან უბრალოდ არ უღირდეთ მომხმარებლებს მისთვის ფულის გადახდა. ამ ხარვეზს აგვარებს მიზნობრივი დანახარჯებით კალკულაციის მეთოდი.
2. პროდუქტის დანახარჯებში გაერთიანებულია მხოლოდ მიმდინარე დანახარჯები. მიმდინარე დანახარჯები არის ზღვრულ დანახარჯებს პლუს მიმდინარე სააღრიცხვო პერიოდის მუდმივი დანახარჯების წილი. შეიძლება არსებობდეს სხვა მნიშვნელოვანი დანახარჯებიც, რომლებიც ზემოაღნიშნულ კატეგორიებს არ მიეკუთვნება, მაგრამ რომლის გარეშეც პროდუქტის გამოშვება ვერ განხორციელდებოდა. ამის მაგალითია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დანახარჯები და პროდუქტის წარმოების ხაზის „დახურვისთვის“ საჭირო დანახარჯები, რომლებიც გაიწევა პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ბოლოს.

ლოგიკურად იბადება კითხვა – რატომ უნდა გამოირიცხებოდეს ამგვარი დანახარჯები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კომპანიას სურს, რომ გასაყიდი ფასები იმდენად მაღალი იყოს, რომ პროდუქციამ მოგება მოიტანოს. მოგების მისაღებად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მთლიანი ამონაგები უნდა აღემატებოდეს მთლიან დანახარჯებს. ზემოაღნიშნულ დანახარჯებთან დაკავშირებულ ხარვეზს აღმოფხვრის პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით დანახარჯების კალკულაციის მეთოდი.

კალკულაცია მიზნობრივი დანახარჯებით

კალკულაცია მიზნობრივი დანახარჯებით, ფაქტობრივად, დანახარჯების კალკულაციის მარკეტინგული მიდგომაა. ნაფიც მარკეტოლოგთა ინსტიტუტი მარკეტინგს განმარტავს შემდეგნაირად:

„მმართველობითი პროცესი, რომელიც პასუხისმგებელია მომხმარებლების მოთხოვნილებების განსაზღვრაზე, პროგნოზირებასა და დაკმაყოფილებაზე მოგების მიღების უზრუნველყოფით“.


მარკეტინგში მომხმარებლების მოთხოვნილებების კვლევისა და მარკეტინგის განყოფილებები ცდილობენ, პასუხი გასცენ შემდეგ კითხვებს:

- სამომხმარებლო ბაზარი (მომხმარებელთა ჯგუფები) ერთგვაროვანია თუ შეგვიძლია განვსაზღვროთ სხვადასხვა სეგმენტი სამომხმარებლო ბაზარზე?
- პროდუქციის რომელი პარამეტრები (მახასიათებლები) აინტერესებს ბაზრის ცალკეულ სეგმენტს?
- რა ფასის გადახდა სურს მომხმარებელს?
- კონკურენტების რომელ პროდუქციას შეუდარებენ მომხმარებლები ჩვენს პროდუქციას?
- როგორ უნდა განვახორციელოთ ჩვენი პროდუქტების რეკლამირება და დისტრიბუცია? (ამ საქმიანობასთანაც გარკვეული (ზოგჯერ, საკმაოდ მნიშვნელოვანი) დანახარჯებია დაკავშირებული).

მარკეტინგი გვასწავლის, რომ მართვაში არავითარი აზრი არა აქვს იმას, რომ ინჟინრები და ბუღალტრები ისხდნენ ჩაბნელებულ ოთახებში, იგონებდნენ ახალ პროდუქტებს, უშვებდნენ მათ წარმოებაში, დანახარჯებს უმატებდნენ, ვთქვათ 50% ფასნამატს და შემდეგ იმედოვნებდნენ, რომ გაყიდიან პროდუქციას. საუკეთესო შემთხვევაში, ამგვარი სიტუაცია კორპორაციული თავდაჯერებულობაა, ხოლო, უარეს შემთხვევაში – კორპორაციული თვითმკვლელობა.

მიაქციეთ ყურადღება: მარკეტინგი არ არის პასიური მიდგომა და კომპანიის ხელმძღვანელობა ვერ დაეყრდნობა მარტო მომხმარებლების მიერ შეთავაზებულ იდეებს. ხელმძღვანელობამ თვითონ უნდა განჭვრიტოს მომხმარებლების მოთხოვნილებები, სავარაუდოდ, პროდუქციის პროტოტიპების (საცდელი ნიმუშების) დამუშავებითა და ბაზრის კვლევის სხვა მეთოდების გამოყენებით.

შემდეგი სქემა ასახავს ახალ პროდუქციასთან დაკავშირებულ რეალურად მნიშვნელოვან ინფორმაციას:



ცხადია, სავარაუდოდ, კომპანიას ექნება სხვადასხვა ნომენკლატურის პროდუქცია და განსხვავებული ფასები, მაგრამ კომპანია ვერაფერს უკარნახებს ბაზარს, მომხმარებლებს ან კონკურენტებს. პროდუქციასთან დაკავშირებულია მნიშვნელოვანი, მძლავრი შეზღუდვები და მისი ფასი, ამიტომ კომპანიამ უნდა აწარმოოს მოთხოვნილი პროდუქცია, გაყიდოს ის მისაღებ და კონკურენციულ ფასად და, ამავე დროს, მოგება მიიღოს.

თუ გვინდა, რომ მოგება ადეკვატური იყოს, დანახარჯები საკმარისად დაბალი უნდა იყოს. ამგვარად, მიზნობრივი დანახარჯებით კალკულაციის მეთოდის მიხედვით, ნაცვლად იმისა, რომ დავიწყეთ დანახარჯების გამოთვლით და შემდეგ გასაყიდი ფასი ვიანგარიშეთ დანახარჯებზე სავარაუდო მარჟის დამატებით, კვლევას ვიწყებთ კონკრეტული პროდუქტის გასაყიდი ფასის განსაზღვრით და შემდეგ უკან ვბრუნდებით დანახარჯებისკენ, მოგების ელემენტის გამოთვლით. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიამ უნდა ეძიოს გზები იმისა, რომ ამ დანახარჯებს არ გადააჭარბოს.

მაგალითი:

თუ კომპანია ჩვეულებრივ ვარაუდობს თვითღირებულებაზე 50%-იანი ფასნამატის დაწესებას და შეაფასებს, რომ ახალი პროდუქტი წარმატებით გაიყიდება \$12-ად, ამ პროდუქტის მაქსიმალური დანახარჯი უნდა იყოს \$8:

თვითღირებულება	+	ფასნამატი	=	გასაყიდი ფასი
100%		50%		150%
\$8		\$4		\$12

ეს არის უმნიშვნელოვანესი წესი, რომელიც კომპანიამ აუცილებლად უნდა დაიცვას. პრაქტიკაში ზემოაღნიშნული წესის რეალიზებას მოჰყვება შემდეგი შედეგები:

- კომპანია შექმნის მრავალფუნქციურ ჯგუფებს, რომლებიც დაკომპლექტებული იქნება მარკეტოლოგებისგან, დანახარჯების აღმრიცხველებისგან, წარმოების მენეჯერებისგან, ხარისხის კონტროლის სპეციალისტებისგან და სხვ. ამგვარ ჯგუფებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის დაპროექტებისა და წარმოების შესახებ გადანაცვებების მიღებისთვის, რაც აუცილებელია ფასების დასადგენად და პროდუქციის იმ ნიშან-თვისებების (პარამეტრების) დასადგენად, რომლებიც ყველაზე მეტად მიიზიდავს ამ პროდუქციის პოტენციურ მყიდველებს;
- კომპანია ყურადღებას გაამახვილებს პროდუქციის დაგეგმვისა და დაპროექტების სტადიებზე. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ღირებულებისთვის, რადგან თუ პროდუქტი იმგვარად დაპროექტდება, რომ მისი გაკეთება უსარგებლოდ ძვირი დაჯდება, აზრი აღარ ექნება იმას, რამდენად ეფექტურია სანარმოო პროცესი – კომპანიას ყოველთვის გაუჭირდება საკმარისი მოგების მიღება.

პროდუქციის დაპროექტების სტადიაზე, რამდენიმე ისეთი გადანაცვებების მიღებაა საჭირო, რომლებიც გავლენას იქონიებს პროდუქტის თვითღირებულებაზე:

- პროდუქციის პარამეტრები (ნიშან-თვისებები/მახასიათებლები);
- როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან „ზედმეტი დეტალები პროდუქტის დიზაინში“;
- პროდუქტის გამოსაშვებად საჭირო კომპონენტების რაოდენობა;
- ეს კომპონენტები სტანდარტულია თუ სპეციალიზებული;
- დამუშავებისა და კონსტრუქციის სირთულე;
- სად შეიძლება დამზადდეს პროდუქტი;
- რა უნდა დამზადდეს უშუალოდ კომპანიაში და რა ქვეკონტრაქტების მეშვეობით;
- პროდუქციის ხარისხი;
- გამოსაშვები პროდუქციის პარტიის მოცულობა.

ამ ჩამონათვალთან თქვენ ხედავთ, რომ მიზნობრივი დანახარჯებით კალკულაციის მეთოდში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს დანახარჯების კალკულაცია საქმიანობის სახეების მიხედვით. დანახარჯთმატარებლების განსაზღვრის შემდეგ, კომპანიას შეუძლია უკეთ გააკონტროლოს თავისი დანახარჯები. მაგალითად, დანახარჯები შეიძლება შემცირდეს პარტიის მოცულობის გაზრდით, ან პროდუქტის ისეთი კომპონენტების რაოდენობის შემცირებით, რომლებიც სანაწობებში შენახვას საჭიროებს.

აქ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ღირებულების ანალიზის კონცეფციამ. ღირებულების ანალიზის მეთოდი მიზნად ისახავს დანახარჯების შემცირებას პროდუქციის ან მომსახურების ისეთი ნაწილების განსაზღვრით, რომლებიც ახალ (დამატებით) ღირებულებას არ ქმნის. ამ კონტექსტში „ღირებულება“ შედგება:

- **გამოყენების (სახმარი) ღირებულებისგან** (პროდუქციის ან მომსახურების უნარი, გააკეთოს ის, რის გასაკეთებლადაც არის შექმნილი – მისი ფუნქცია); და
- **პრესტიჟის ღირებულებისგან** (სტატუსი, რასაც კონკრეტულ პროდუქციას საკუთრება ან მოხმარება ანიჭებს).

ღირებულების ანალიზის მეთოდის მიზანია, მაქსიმალური გახადოს პროდუქტის გამოყენებისა და პრესტიჟის ღირებულებები და შეამციროს დანახარჯები.

მაგალითად თუ თქვენ ყიდით სუნამოს, მისი შეფუთვის დიზაინი მნიშვნელოვანია. სუნამო შეიძლება ჩაისხას გამჭვირვალე შუშის (ან პლასტმასის) ბოთლებში და, მართალია, ამან შეიძლება ზიანი არ მიაყენოს პროდუქტის გამოყენების ღირებულებას, მაგრამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მის პრესტიჟის ღირებულებას. კომპანიის ქმედება არ იქნება გონივრული, თუ ის დანახარჯების შემცირებას ეცდება სუნამოს შეფუთვაზე გაწეული დანახარჯების მნიშვნელოვანი ეკონომიით.

ანალოგიურად, თუ კომპანია ეცდება ავტომანქანის წარმოების დანახარჯების შემცირებას, შეიძლება ავტომანქანას ჰქონდეს ისეთი კომპონენტები, რომელთა შეცვლა დამაკმაყოფილებლად შესაძლებელი იქნება უფრო იაფი, ან მარტივი კომპონენტებით ისე, რომ ზიანი არ მიაღდეს არც ავტომანქანის გამოყენების ღირებულებას და არც მის პრესტიჟის ღირებულებას.

თუმცა, შეიძლება ავტომანქანას ზოგიერთი ისეთი კომპონენტიც ჰქონდეს, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მისი გამოყენების ღირებულებისთვის (მაგალითად, მუხრუჭების სისტემის ელემენტები) და სხვა ელემენტები, რომლებიც მის პრესტიჟულ ღირებულებას ქმნის (ავტომანქანის საღებავისა და სავარძლების გადასაკვრავი ქსოვილის ხარისხი).

დანახარჯების კალკულაცია პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიზნობრივი დანახარჯებით კალკულაციის მეთოდში დიდი ყურადღება ეთმობა ისეთ დანახარჯებს, რომელთა გაკონტროლებაც შესაძლებელია პროდუქტის ეფექტიანი დაპროექტებისა და წარმოების დაგეგმვის პროცესებით, მაგრამ პროდუქტის დანახარჯები, წინასწარი საქმიანობების გარდა, შეიძლება სხვა საქმიანობებმაც (პროცესებმაც) გამოიწვიოს. კერძოდ, შეიძლება არსებობდეს სხვა ტიპის დანახარჯებიც, რომლებიც გაიწვევს პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ, მაგალითად საგარანტიო მომსახურების დანახარჯები და მანქანა-დანადგარის დემონტაჟის (ექსპლუატაციიდან ამოღების) დანახარჯები.


როდესაც ამა თუ იმ პროდუქტიდან გვსურს მოგების მიღება, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ პროდუქტის რეალიზაციიდან მიღებულმა ამონაგებმა გადააჭარბოს მთლიან დანახარჯებს, იმის მიუხედავად, როდის იქნება გაწეული ეს დანახარჯები – პროდუქციის წარმოების დაწყებამდე, წარმოების პროცესში თუ მის შემდეგ. ეს არის პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით დანახარჯების კალკულაციის მეთოდის არსი და მნიშვნელოვანია გავიცნობიეროთ, რომ მიზნობრივი დანახარჯების მიღება შესაძლებელია ნებისმიერი სახის დანახარჯიდან, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის რომელიმე ნაწილთან (ეტაპთან). პროდუქტის დანახარჯების წარმოქმნის ეტაპები შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

ეტაპი	დანახარჯების ტიპების მაგალითები
დაპროექტება	სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტო-რო, მაკეტის (პროტოტიპი) შექმნა და მექანიკური დამუშავება.
წარმოება	მასალები, შრომითი, ზედნადები, ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოები, მარაგის შენახვა, პერსონალის სწავლება, საწარმოო მანქანა-დანადგარების ტექმომსახურება და ცვეთა.
საოპერაციო საქმიანობა	გასაღება (დისტრიბუცია), რეკლამა და საგარანტიო მოთხოვნები.
სასიცოცხლო ციკლის დასრულება	გარემოს აღდგენა, მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციიდან ამოღება და ლიკვიდაცია.

პროექტის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით დანახარჯების კალკულაციის მეთოდიდან ოთხი ძირითადი გაკვეთილი უნდა ვისწავლოთ:

- როდესაც პროექტის ერთეულის თვითღირებულებას და მის მოგებიანობას ვანგარიშობთ, ყველაზე დანახარჯი უნდა გავითვალისწინოთ;
- ყველა სახის დანახარჯზე ყურადღების გამახვილება დაგვეხმარება პროექტის ერთეულის დანახარჯის (თვითღირებულების) შემცირებაში, ასევე დაგვეხმარება მიზნობრივი თვითღირებულების (ანუ თვითღირებულების საკონტროლო დონის) მიღწევაში;
- ბევრი სახეობის დანახარჯი ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება. მაგალითად, თუ უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობთ დაპროექტების ეტაპის დანახარჯებს, შესაძლებელი იქნება საწარმოო და საგარანტიო მომსახურების დანახარჯების შემცირება; თუ უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობთ პერსონალის სწავლების დანახარჯებს, შევძლებთ მანქანა-დანადგარების ტექნოლოგიების დანახარჯების შემცირებას; თუ უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობთ წარმოების პროცესში ნარჩენების ლიკვიდაციას, შევძლებთ სასიცოცხლო ციკლის ბოლოს გასაწევი დანახარჯების შემცირებას;
- დანახარჯები სხვადასხვა დროს არის საჭირო და, შესაბამისად, მათი განევა სხვადასხვა დროს ხდება. გარდაუვალი ისეთი დანახარჯებია, რომლებიც გაიწევა მომავალში, ადრე მიღებული გადაწყვეტილებების გამო. დანახარჯების განევა მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც რესურსები გამოიყენება.

როგორც წესი, პრაქტიკაში გვხვდება გარდაუვალი დანახარჯებისა და განეული დანახარჯების შემდეგი მოდელი:



გრაფიკი გვიჩვენებს, რომ დაპროექტების ეტაპის ბოლოს დანახარჯების დაახლოებით 80% გარდაუვალი დანახარჯებია. მაგალითად, მოდელს დასჭირდება მასალების, შრომითი და მანქანური დამუშავების მნიშვნელოვანი დანახარჯები. კომპანიას შეუძლია სცადოს მოლაპარაკება („ვაჭრობა“) მომწოდებლებთან კომპონენტების ფასთან დაკავშირებით, მაგრამ თუ, მაგალითად, მოდელს 10 ერთეული გარკვეული კომპონენტი ესაჭიროება, მომწოდებლებთან მოლაპარაკება, სავარაუდოდ, უმნიშვნელო საერთო შედეგს მოიტანს დანახარჯებთან დაკავშირებით.

დანახარჯების დიდი ოდენობით შემცირება მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ მოდელს ექნებოდა მხოლოდ რვა სხვადასხვა ტიპის კომპონენტი. დაპროექტების ეტაპი „ამუხრუჭებს“ მომავალში გასაწევი დანახარჯების უდიდეს ნაწილს და ეს არის სწორედ ის ეტაპი, რომელიც კომპანიას უდიდეს შესაძლებლობას აძლევს, შეამციროს ზემოაღნიშნული დანახარჯები.

დანახარჯების კალკულაციის ტრადიციული მიდგომის დროს, დანახარჯები მხოლოდ მაშინ აღირიცხება, როდესაც ისინი უკვე გაიწევა, მაგრამ დანახარჯების აღრიცხვა სრულიად სხვა რამეა და მათი კონტროლი – სხვა რამე, ხოლო საქმიანობის შედეგების მართვა დამოკიდებულია დანახარჯების კონტროლზე და არა მათ შეფასებაზე.

მიზნობრივი დანახარჯებით კალკულაციისა და სასიცოცხლო ციკლის მიხედვით კალკულაციის რიცხობრივი მაგალითი

კომპანია გეგმავს ახალი პროდუქტის გამოშვებას. ბაზრის გამოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ გაიყიდება 10,000 ცალი პროდუქტი, თითო \$21.00-ად. კომპანია აპირებს 40% ფასნამატის დაწესებას პროდუქციის თვითღირებულებაზე. შეფასებულია, რომ ამ პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის დანახარჯები იქნება შემდეგი:

1. დაპროექტებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯები – \$50,000;
2. წარმოების დანახარჯები – \$10/ერთეულზე;
3. სასიცოცხლო ციკლის დასრულების დანახარჯები – \$20,000.

კომპანიამ შეაფასა, რომ თუ ის დამატებით დახარჯავს \$15,000-ს პროდუქტის დიზაინზე, შემცირდება ერთეული პროდუქტის წარმოების დანახარჯები.

მოგეთხოვებათ:

- ა) გამოითვალოთ, რამდენია მოცემული პროდუქტის მიზნობრივი დანახარჯი;
- ბ) რამდენია პროდუქტის ერთეულის სასიცოცხლო ციკლის თავდაპირველი დანახარჯი და ღირს თუ არა ამ პროდუქტის გამოშვების დაწყება, ამ დანახარჯების საფუძველზე?
- გ) თუ კომპანია პროდუქტის დაპროექტებაზე დამატებით თანხას დახარჯავს, რამდენი იქნება პროდუქტის ერთეულის საწარმოო დანახარჯის მაქსიმალური სიდიდე, რომლის დაშვებაც შესაძლებელი იქნება, იმ თვალსაზრისით, რომ კომპანია მიიღოს მის მიერ განსაზღვრული ფასნამატი?

ამოხსნა:

პროდუქტის მიზნობრივი დანახარჯი შეიძლება გამოვითვალოთ შემდეგნაირად:

- ა) თვითღირებულება + ფასნამატი = გასაყიდი ფასი

100%	40%	140%
\$15	\$6	\$21

- ბ) პროდუქტის ერთეულის სასიცოცხლო ციკლის თავდაპირველი დანახარჯი =

$$= (\$50,000 + (10,000 \times \$10) + \$20,000) / 10,000 = \$17$$

პროდუქტის ერთეულის სასიცოცხლო ციკლის თავდაპირველი დანახარჯი აღემატება ერთეულის მიზნობრივ დანახარჯს, ასე, რომ არ ღირს ამ პროდუქტის გამოშვება.

- გ პროდუქტის ერთეულის მაქსიმალური მთლიანი დანახარჯი = \$15.

ამ დანახარჯებიდან ზოგიერთი გამოწვეული იქნება დაპროექტებისა და სასიცოცხლო ციკლის დასრულების ეტაპით:

$$(\$50,000 + \$15,000 + \$20,000) / 10,000 = \$8.50$$

ამგვარად, პროდუქტის ერთეულის მაქსიმალური საწარმოო დანახარჯი შემცირდება \$10-დან $(\$15 - \$8.50) = \$6.50$ -მდე.

თავდაპირველად კენ გარეტის მიერ მომზადებული სტატია განახლებულია
 2019 წლის აპრილში „საქმიანობის შედეგების მართვის“
 მოდულის საგამოცდო კომისიის წევრის მიერ

პროფესიონალების მომზადება მომავლისთვის

**ინდივიდუალური პრაქტიკის მქონე პირთა წინაშე
არსებული გამოწვევები და პროფესიული ორგანიზაციების მიერ
მათი დახმარების შესაძლებლობები**

ჯორჯ უილი, ჯონი იონგი | 11 იანვარი, 2021

ინდივიდუალური პრაქტიკის მქონე პირები გლობალურად პროფესიის მთავარ საყრდენს წარმოადგენენ. 2018 წელს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩატარებული მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმების გლობალურმა კვლევამ გამოავლინა, რომ დაახლოებით 6,000 რესპონდენტიდან 30% ინდივიდუალური პრაქტიკის მქონე პირი იყო. IFAC-ის მცირე და საშუალო პრაქტიკის საკონსულტაციო ჯგუფის (SMPAG) წევრების ბოლოდროინდელი არაოფიციალური კვლევის საფუძველზე, ინდივიდუალური პრაქტიკოსები გამოკვლეულ ქვეყნებში პრაქტიკის 50%-დან 75%-მდე შეადგენენ.

SMPAG -ის ერთ-ერთი ბოლო შეხვედრის დროს წევრებმა აღნიშნეს, რომ არ არსებობს ინდივიდუალური პრაქტიკოსის რაიმე უნივერსალური განმარტება. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ განხორციელებულმა მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმების გლობალურმა კვლევამ გამოიყენა ინდივიდუალური პრაქტიკის მქონე პირის ისეთი განმარტება, რომლის თანახმად ასეთ პირს არ ჰყავს სხვა პარტნიორი ან პერსონალი. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში ინდივიდუალური პრაქტიკოსის განმარტება გულისხმობს ისეთ პირს, რომელსაც ჰყავს დაქირავებული პერსონალი. SMPAG-ის კვლევის თანახმად, იმ ქვეყნებს შორის, სადაც განმარტებაში გათვალისწინებულია ინდივიდუალური პრაქტიკოსების მიერ პერსონალის ყოლა, ნახევარზე მეტი 2-დან 5-მდე თანამშრომელს ასაქმებს, რომელსაც ხელფასს უხდის, ან დაქირავებული ჰყავს როგორც ქვეკონტრაქტორი. პროფესიონალ ბუღალტერთა ზოგიერთი ორგანიზაცია მაგალითად ჰონკონგში და მალაიზიაში მიუთითებს, ამ ქვეყნებში ინდივიდუალური პრაქტიკოსების შესახებ, რომლებსაც ნებისმიერ დროს დაახლოებით 30 თანამშრომელი ჰყავთ დასაქმებული.

ინდივიდუალური პრაქტიკის მოდელთან დაკავშირებული გამოწვევები და სარგებელი

ახლახან მოპოვებული არაოფიციალური მონაცემების მიხედვით, ინდივიდუალურ პრაქტიკოსებზე დიდი გავლენა იქონია COVID-19-ის პანდემიამ, კლიენტებისთვის საჭირო მხარდაჭერის დონის, პრაქტიკის გაგრძელებასთან დაკავშირებული ხარჯების (რასაც ამძიმებს არსებული კლიენტების მხრიდან მომსახურების საფასურის გადაუხდელობა) და იმის გამო, რომ ბევრი მცირე ბიზნესი იძულებული გახდა დახურულიყო. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ბოლოდროინდელ ანგარიშში მითითებული მცირე და საშუალო საწარმოების კვლევა ასახავს აღნიშნულ გავლენას, კერძოდ კი იმას, რომ მცირე და საშუალო საწარმოების ნახევარზე მეტი შემოსავლების დაკარგვის წინაშე დგას, ერთ მესამედს ემუქრება ბიზნესის დაკარგვა, შემდგომი მხარდაჭერის გარეშე ერთ თვეში, ხოლო დაახლოებით 50%-ს სამ თვეში. ინდივიდუალური პრაქტიკოსები, თვითონაც როგორც მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, ასევე ბევრი გამოწვევის წინაშე დგანან. IFAC-ის მიერ ჩატარებული მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმების გლობალური კვლევის უკანასკნელი ხელმისაწვდომი მონაცემების თანახმად,

ქვემოთ ჩამოთვლილია ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც მცირე პრაქტიკოსებმა აღნიშნეს:

- რეგულაციებისა და სტანდარტების ცვლილებების დროული გათვალისწინება (ინდივიდუალური პრაქტიკოსების 59%, სხვა სეგმენტებში 45%-იან საშუალო მაჩვენებელთან შედარებით);
- ახალი კლიენტების მოზიდვა და არსებულის შენარჩუნება (50%, 46%-თან შედარებით);
- ზეწოლა მომსახურების საფასურის შესამცირებლად (45%, 48%-თან შედარებით);
- კონკურენცია (44%, 46% -თან შედარებით); და
- ხარჯების ზრდა და ფულადი ნაკადების მართვა (42%, 39% -თან შედარებით).

მიუხედავად იმისა, რომ ზეწოლა მომსახურების საფასურის შესამცირებლად და კონკურენციასთან დაკავშირებით შედარებით დაბალია ინდივიდუალური პრაქტიკის მქონე პირებისთვის, სამი დანარჩენი გამოწვევა გაზრდილია. არ არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ ეს გამოწვევები შემსუბუქდა პანდემიის არსებულ პირობებში.

ინდივიდუალური პრაქტიკოსების წინაშე არსებული გამოწვევები ჩვეულებრივ უფრო მნიშვნელოვანია, ამხანაგობისა და სხვა ბიზნესმოდელების წინაშე არსებულ გამოწვევებთან შედარებით, რადგან:

- ინდივიდუალურ პრაქტიკოსებს არ შეუძლიათ იდეების მარტივად გაზიარება კოლეგებისთვის. ინდივიდუალური პრაქტიკოსის ტიპურ გარემოში არ არსებობს კოლეგა ორგანიზაციის სათავეში;
- ოპერაციები შეზღუდულია აქტივების შედარებითი ნაკლებობით, დაბალი საინვესტიციო დანაზოგებით და დაფინანსებასთან შეზღუდული წვდომით;
- ტექნოლოგიის, წესებისა და რეგულაციების სწრაფი ცვლილებების მიმართ ფეხის აწყობა შეიძლება განსაკუთრებით რთული იყოს ინდივიდუალური პრაქტიკოსისთვის, პირადი იზოლაციის შეგრძნების გამო; და
- დროის ნაკლებობა. რამდენადაც საოპერაციო გარემო გაცილებით კომპლექსური გახდა, დროის არახელსაყრელმა ნაკლებობამ შეიძლება შეზღუდოს ინდივიდუალური პრაქტიკოსების უნარი, ასეთ ცვლილებებზე რეაგირების უნარების შეძენის, ან ხელახალი ათვისების თვალსაზრისით.

მცირე და საშუალო ფირმების პრაქტიკის მართვის სახელმძღვანელოს მე-2 მოდულში ჩამოთვლილია ინდივიდუალური პრაქტიკოსის ბიზნესის მოდელის ზოგიერთი სარგებელი, ტრადიციულ ამხანაგობასთან შედარებით. ეს მოიცავს დასკვნითი გადაწყვეტილების მიღების ერთ წერტილს (პროცესი შეიძლება სწრაფი იყოს) მოგების გაზიარების, შიდა წესების სწრაფი ცვლილების მოქნილობის და საბაზრო მოთხოვნებთან ადაპტირების საჭიროების გარეშე. ამასთან, ზოგიერთი ადამიანისთვის პირდაპირი ჩართულობის და კონტროლის შეგრძნება შეიძლება მიმზიდველი იყოს.

როგორ შეუძლია დახმარება პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციას?

ბოლოდროინდელი SMPAG შეხვედრის დროს საკონსულტაციო ჯგუფს კითხვა დაუსვეს, მხარდაჭერის სამი ტიპის შესახებ, რომელთა შეთავაზებაც პროფესიულმა ორგანიზაციამ უნდა განიხილოს პროფესიის ამ მნიშვნელოვანი სეგმენტისთვის. პასუხები მრავალმხრივი გამოდგა. მათ შორისაა:

- ინფორმაციის გაზიარება ტექნოლოგიური ინსტრუმენტებისა და რესურსების შესახებ, რომელთა გამოყენებაც ინდივიდუალურ პრაქტიკოსებს შეუძლიათ. მაგალითად, SAICA-მ გამოაქვეყნა ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო, პროგრამული უზრუნველყოფის ტიპების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია სამხრეთ აფრიკის ბაზარზე;

- ინდივიდუალური პრაქტიკოსებისთვის განკუთვნილ საფინანსო პაკეტებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოება ტექნოლოგიური ინვესტიციების განსახორციელებლად. მაგალითად, მალტის ბუღალტერთა ინსტიტუტი (MIA) მუშაობდა საინფორმაციო ტექნოლოგიების მომწოდებლებთან, თავისი პრაქტიკოსებისთვის პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტების შესათავაზებლად ფინანსური და იურიდიული კომპლექსური შეფასების სფეროში. მაღაზიის ბუღალტერთა ინსტიტუტი (MIA) თანამშრომლობდა სავალო ფაქტორინგულ კომპანიებთან აუდიტორული ფირმებისთვის ანგარიშ-ფაქტურების ფაქტორინგული სერვისების შესათავაზებლად;
- მექანიზმების, ღონისძიებების და მოვლენების დიაპაზონის განხილვა ინდივიდუალური პრაქტიკოსების რეგულარული ჩართულობის უზრუნველსაყოფად იმისათვის, რომ მათ შეძლონ დახმარება და ინფორმაციასთან წვდომა, რომელიც აუცილებლად სჭირდებათ;
- ინდივიდუალური პრაქტიკოსების წახალისება, რომ შეისწავლონ სოციალური მედიასაშუალებები და გამოიყენონ აღნიშნული პლატფორმები პერსონალის მოსაზიდად და შესანარჩუნებლად;
- არაოფიციალური ქსელური შეხვედრების ხელშეწყობა. მაგალითად, გერმანიაში IDW დახმარებას უწევს თავის ინდივიდუალურ პრაქტიკოსებს იურისტებთან. ბიზნესის რეფერალური ქსელების განვითარებაში ორივე პროფესიის სინერგიის გამო.

სამომავლო შესაძლებლობები ინდივიდუალური პრაქტიკოსებისთვის

კვლევის მიგნებები მიუთითებს, რომ, ქვეყნის მიუხედავად, ბუღალტრები კვლავაც მცირე და საშუალო საწარმოების უპირატეს მრჩეველებად რჩებიან. პროფესიული ბიზნესკონსულტაცია, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესს მიეწოდება ეფექტიანობის ამაღლებას უკავშირდება, რაც ფირმების გადარჩენის, ზრდის, გადანაცვეტილებების მიღების უკეთესი მანიქნებლებით და მაღალი დონის ფინანსური ეფექტიანობით გამოიხატება.

SMPAG-მა ინდივიდუალური პრაქტიკოსებისთვის სამომავლოდ მინიშნებები და რჩევები შეიმუშავა, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- ზედმეტად ნუ შეწინააღმდეგებით ცვლილებებს, გამოიყენეთ შესაძლებლობა მაშინ, როცა ის გეძლევათ. IFAC-მა ახლახან შეიმუშავა პრაქტიკის გარდაქმნის სამოქმედო გეგმა - მომავლის გზამკვლევი, რომელიც ხაზს უსვამს ცვლილების განხორციელების, ტექნოლოგიის გამოყენების, ნიჭის მართვისა და საკონსულტაციო სერვისების შემუშავების მნიშვნელობას;
- ინდივიდუალური პრაქტიკოსების უმრავლესობას „ტრადიციული“ ბიზნესმოდელი აქვს. მათ უნდა განიხილონ საკუთარი კომფორტის ზონიდან გამოსვლა. სპეციალიზაცია არის გზა პრაქტიკისთვის, რომ მან ბაზარზე აქტუალურობა შეინარჩუნოს, მაგალითად ფოკუსირება ისეთ კონკრეტულ სფეროებზე, როგორებიცაა საოჯახო ბიზნესი, საქველმოქმედო საქმიანობა და სხვ. ბუღალტრული პრაქტიკისთვის ასევე ზრდის მიმართულებაა საკონსულტაციო სერვისების განვითარება. საგანმანათლებლო სტატიები „მომავლის ფირმები - საკონსულტაციო სერვისების განვითარება“ და „საკონსულტაციო სერვისებად გარდაქმნა - პარტნიორობების და ქსელების გამოყენება“ მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო მასალაა ასეთი მისწრაფების მქონე ფირმებისთვის;
- ქსელების განვითარება და სხვა პრაქტიკოსებთან რეგულარული კომუნიკაცია შეიძლება არაოფიციალური მხარდაჭერის სასარგებლო მექანიზმი იყოს. ქსელებისა და კავშირების შექმნაში პროაქტიურობას მომავლისთვის მზადყოფნაში ფირმის დახმარება შეუძლია. ასეთი ქსელების მეშვეობით ინდივიდუალური პრაქტიკოსები შეძ

ლებენ მსგავსი პრაქტიკის მქონე პირებისგან სწავლას, თავიანთი კლიენტების სხვა სპეციალისტებთან გადამისამართებას ისეთი მომსახურების მისაღებად, რომლის გაწევას თვითონ არ ახორციელებენ და, სანაცვლოდ, მათგან გამოგზავნილ კლიენტებს მიიღებენ;

- გახსოვდეთ ბრენდინგის მნიშვნელობა. იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ ბაზარზე დარჩენის უნარი, ფირმისთვის მნიშვნელოვანია თავისი უნიკალური გასაყიდი წინადადების შემუშავება;
- მკაფიო სტრატეგიის არსებობა (იქნება ეს შემოსავლებთან თუ ზრდასთან დაკავშირებული) შეიძლება წარმატების ან წარუმატებლობის მიზეზი იყოს. ინდივიდუალურ პრაქტიკოსებს უნდა შეეძლოთ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე - „ვინ გსურთ, რომ იყოთ“? პასუხის გაცემა. ის, რომ ყველასთვის ყველაფერი იყოთ, გარკვეული დროის შემდეგ ეფექტური არ იქნება;
- სამუშაოსა და პირადი ცხოვრების ბალანსის დაცვის ცოდნა კრიტიკული მნიშვნელობისაა, რადგან პრაქტიკის ერთადერთი მამოძრავებელი ძალა ბიზნესის მფლობელია. იმ ინდივიდუალური პრაქტიკოსებისთვისაც კი, რომელთაც დაქირავებული პერსონალი ჰყავთ, სათანადო ტონის განსაზღვრა სათავეში ხელს შეუწყობს პერსონალის გრძელვადიანი გადაღლის თავიდან აცილებას;
- ერთობლივ აუდიტში ჩართულობა შეიძლება სასარგებლო ნაბიჯი იყოს ფირმის შესაძლებლობების განსავითარებლად, თუ აუდიტი ფირმის ძირითადი საქმიანობაა.

დამატებითი რესურსები

IFAC -მა მოამზადა მასალების კრებული, რომელიც ინდივიდუალური პრაქტიკის მქონე პირებისთვისაა განკუთვნილი. მე-7 და მე-8 მოდულები (PM სახელმძღვანელო) მოიცავს რისკის მართვას და ბიზნესიდან გასვლის შესაძლებლობებს ინდივიდუალური პრაქტიკოსებისთვის. IFAC-ის ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს (მე-3 გამოცემა) აქვს შესაბამისი ნიმუში ინდივიდუალური პრაქტიკოსებისთვის, რომელთაც არ ჰყავთ პროფესიონალი თანამშრომლები.

IFAC-ის ცოდნის პორტალზე განთავსებული სტატიების რაოდენობის მიუხედავად, „წარმატებული გასვლის სტრატეგიების წახალისება - ესტაფეტის გადაცემა“ ან „როგორ განვახორციელოთ მომავლის მცირე და საშუალო პრაქტიკოსების მხარდაჭერა“ მცირე და საშუალო საწარმოების და მცირე და საშუალო პრაქტიკის ფირმების გათვალისწინებით დაიწერა, ბევრი რჩევა და ინიციატივა სათანადოდ გამოყენებადი იქნება ინდივიდუალური პრაქტიკოსებისთვისაც.

დასკვნა

ინდივიდუალური პრაქტიკოსის საქმიანობის მოდელი გააგრძელებს თავის არსებობას და სარგებლობის მომტანი იქნება მომავალში. პროფესიული ორგანიზაციის და სხვების (როგორებიცაა მსგავსი პრაქტიკის მქონე პირები და ქსელები) მხარდაჭერით და ხელმძღვანელობით ინდივიდუალურ პრაქტიკოსებს შეუძლიათ უკეთეს პოზიციაში ყოფნა და იქნებიან კიდევ, რომ გააგრძელონ მნიშვნელოვანი როლის შესრულება მცირე ბიზნესის მხარდაჭერაში რთული და გაურკვეველი პერიოდის ეფექტურად დასაძლევად.



IAASB აუდიტის ხარისხის მართვის სტანდარტებს აქვეყნებს

აუდიტისა და მარწმუნებელი საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB) გამოსცა სამი განახლებული სტანდარტი, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოში აუდიტის ხარისხის კონტროლის გაუმჯობესებას.

ახალი სტანდარტების მიზანია, დაამკვიდროს უფრო ძლიერი და პროაქტიური მიდგომა ხარისხის კონტროლის მიმართ, ვიდრე ეს ადრინდელი სტანდარტების ფარგლებშია.

„ეს სტანდარტები აუდიტის პროფესიას ხარისხის „მართვის“ რეჟიმში გადაიყვანს, ნაცვლად „კონტროლისა“, რაც გარიგებების ხარისხის სტაბილურობის მიღწევას მეტად შესაძლებელს გახდის,“ – განაცხადა IAASB-ის თავმჯდომარემ, **ტომ სეიდენშტეინმა**.

„სტანდარტები მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ფირმის მენეჯმენტს, მუდმივად

გააუმჯობესონ გარიგებების ხარისხი და გამოასწორონ აღმოჩენილი სისუსტეები. ეფექტურად დანერგვის შემდეგ, სტანდარტებმა უნდა უზრუნველყოს, რომ ხარისხის მიღწევა ფირმის სტრატეგიისა და ოპერაციების განუყოფელი ნაწილი გახდეს“.

სტანდარტები მოიცავს:

- ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ISQM) 1, ხარისხის მართვის სტანდარტები ფირმებისთვის, რომლებიც ატარებენ აუდიტს, ფინანსური ანგარიშგების რევიზიას ან გასწევენ სხვა სახის მარწმუნებელ მომსახურებას;
- ISQM 2, გარიგების ხარისხის შემოწმება; და
- აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 220 (განახლებული), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა.



ტომ სეიდენშტეინი

მას შემდეგ, რაც გასულ სექტემბერს საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ აღნიშნული სტანდარტები დაამტკიცა, სეიდენშტეინმა განაცხადა: „მე ვფიქრობ, რომ ეს სტანდარტები წარმოადგენს საფუძველს, ფირმები ფოკუსირებული იყვნენ ხარისხზე ყველა ოპერაციის განხორციელებისას. აშშ-ში და ჩვენს არსებულ სტანდარტებშიც, კონცეფცია ხარისხის კონტროლს გულისხმობს. კონტროლს და მართვას განსხვავებული შინაარსი აქვს. კონტროლი გულისხმობს, რომ ჩვენ წარსულში მომხდარ ფაქტებს გადავხედავთ და დავრწმუნდებით, რომ ისინი ხარისხის სტანდარტებს შეესაბა-

მებოდა. ხარისხის მართვა მოვლენებს განგრძობითი უკუკავშირის წრედ აღიქვამს.“

საჯარო კომპანიების ანგარიშგების საზედამხედველო საბჭო (PCAOB) აშშ-ს კომპანიებისთვის ხარისხის მართვის სტანდარტების შესამუშავებლად ISQM 1-ს დაეყრდნობა.

საბჭოს დავმჯდომარეს, **უილიამ დანკეს** მიაჩნია, რომ ფირმებს არ უნდა ჰქონდეთ ახალი სტანდარტების შიში. „შეთავაზებული სტანდარტები მოიცავს სპეციფიკურ მოთხოვნებს და გაუმჯობესებებს, რომელიც ჩვენს არსებულ სტანდარტებში ამჟამად გათვალისწინებული არ არის.“ – განაცხადა მან ნიუ იორკში გამართულ კონფერენციაზე. „არსებობს უამრავი ფირმა, რომელიც იცავს ჩვენს სტანდარტებს და ამავედროულად მიჰყვება IAASB-ის სტანდარტებს (ან მათ სტანდარტებზე დაფუძნებულ სტანდარტებს). ამიტომ მიგვაჩნია, რომ არაპრაქტიკული იქნება, ამ ფირმებს მოვთხოვოთ ორ, ერთმანეთისგან ფუნდამენტურად განსხვავებულ ხარისხობრივ სტანდარტებთან შესაბამისობა.“

წყარო: accountingtoday.com

მყიფე ეკონომიკური თავდაჯერების მაჩვენებელი 2021 წლის დასაწყისში

გლობალური ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ ACCA-სა და IMA-ს ერთობლივი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ბუღალტრებისა და ფინანსების პროფესიონალებმა აზრით, ეკონომიკური თავდაჯერების მაჩვენებელი მკვეთრად შეირყა 2020 წლის მე-4 კვარტალში და კვლავ მყიფეა 2021 წელს.

კვლევაში მონაწილე 3,000 მთვარი ბუღალტრისა და ფინანსების პროფესიონალის გამოკითხვა ასახავს იმ ათასობით ბიზნესის შეხედულებებსა და გამოცდილებებს, რომელთაც ისინი ემსახურებიან.

2020 წლის მე-4 კვარტალის შედეგების მიხედვით:

გლობალური შეკვეთების, დასაქმებისა და ინვესტირების მაჩვენებლები მცირედით გაუმჯობესდა, თუმცა მკვეთრად ჩამოუვარდებოდა პრეკრიზისული პერიოდის, 2019 წლის მე-4 კვარტალის მონაცემს.

„შიშის“ ინდექსების მიხედვით, მომხმარებლებისა და მომწოდებლების ბიზნესიდან გასვლის შიში შედარებით შემცირებული იყო მე-4 კვარტალში, თუმცა კვლავ მაღალ



მაჩვენებელს ინარჩუნებს. ეს აშკარად მიუთითებს ბუნდოვან ეკონომიკურ მოლოდინებზე 2021 წლის დასაწყისში.

ეკონომიკური თავდაჯერების მაჩვენებელი კვლავ დაეცა ჩრდილოეთ ამერიკაში, მე-3 კვარტალის მცირე მატების შემდეგ. განსხვავებული შედეგია შუა აღმოსავლეთში, სადაც მაჩვენებელმა მოიმატა. აღნიშნული, სავარაუდოდ, ნავთობის ფასის სტაბილურმა მატებამ გამოიწვია.

2021 წლის მოლოდინები

სამომავლოდ, აზია-წყნარი ოკეანის, ჩრდილოეთ ამერიკისა და სამხრეთ აზიის რეგიონებში გამოკითხულთა 50%-ზე მეტი ეკონომიკის სტაბილურ გამოსწორებას 2021 წლის მეორე ნახევრიდან ელოდება. ყველაზე ოპტიმისტური ამ მხრივ შუა აღმოსავლეთი აღმოჩნდა, სადაც 54% ეკონომიკის გამოსწორებას წლის პირველ ნახევარში მოელის.

ACCA-ის მთავარი ეკონომისტი, **მაიკლ ტეილორი** აცხადებს: „გასული წელი ყველაზე უარესი იყო გლობალური ეკონომიკისთვის რამდენიმე დეკადის მანძილზე. 2021 წელს

გვექნება გაუმჯობესება, თუმცა ზუსტად როგორი და რამდენად ძლიერი იქნება ის – გაურკვეველია. ჩვენ სუსტ დასაწყისს ველით, რასაც გაუმჯობესება მოჰყვება, რომელიც ძალას მეორე ნახევრისთვის „აკრეფს“. პროცესი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კოვიდის ვირუსის განვითარებასა და ვაქცინაციის პროგრამებზე, რაც ყველაზე მეტი გაურკვევლობის წყაროს წარმოადგენს“.

IMA-ის ვიცე-პრეზიდენტმა კვლევებისა და პოლიტიკის საკითხებში, **რაეფ ლოუსონმა** განმარტა: – „პანდემიამ მილიონობით ადამიანი სიღატაკეში ჩააგდო, რადგანაც გასულ წელს განვითარებამ ბაზრებმა რეცესია განიცადა. ვირუსის საპასუხო პოლიტიკამ ქვეყნების უმეტესობა საბიუჯეტო დეფიციტში დატოვა. ეს ყველაფერი მნიშვნელოვან გამოცდას წარმოადგენს პოლიტიკოსებისთვის. მათ მოუწევთ სწორად შეარჩიონ დრო მხარდაჭერის პოლიტიკების შეჩერებისა და საჯარო ფინანსების რებილიტაციისთვის.“

წყარო: accaglobal.com

ვებგვერდი, 12/01/2021
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017422

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №3
2021 წლის 11 იანვარი ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის
№996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 401 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის „შენიშვნა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა:

საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირად, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში, ჩაითვლება პირი:

ა) რომელიც შექმნილია ან რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით (მაგალითად: თიზ-ის საწარმო, სპეციალური სავაჭრო კომპანია, ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი, მაღალმთიანი დასახლების საწარმო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ვირტუალური ზონის იურიდიული პირი);

ბ) რომელიც ახორციელებს საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ სანებართვო საქმიანობას (მაგალითად: აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატის სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირი (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მომწყობი პირისა)).

ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირად არ ჩაითვლება სპეციალური სავაჭრო კომპანია იმ ოპერაციებთან მიმართებაში, რომელთა მიმართ კმაყოფილდება ამავე კოდექსის 241 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

ვებგვერდი, 12/01/2021
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017423

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №4
2021 წლის 12 იანვარი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს
ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 112-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 38-ე - მე-40 პუნქტები:

„38. პირი, რომელიც ახორციელებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 115-ე ნაწილით გათვალისწინებულ რომელიმე საქმიანობას, ვალდებულია საგადასახადო ორგანოს ელექტრონული ფორმით წარუდგინოს აღნიშნული ინფორმაცია, რათა ამავე მუხლის 130-ე ნაწილის მიხედვით, შეუმცირდეს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 114-ე ნაწილის შესაბამისად გადავადებული საშემოსავლო გადასახადი (გადასახადი, რომელზეც გაგრძელებულია საშემოსავლო გადასახადის გადახდისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადა).

39. ამ მუხლის 38-ე პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის წარდგენის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო განახორციელებს გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე იმ საშემოსავლო გადასახადის შემცირებას, რომელზეც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 114-ე ნაწილის მიხედვით გაგრძელებული იყო გადასახადის გადახდისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადა.

40. ამ მუხლის 38-ე პუნქტით განსაზღვრული წესით წარმოდგენილი ინფორმაციის დაზუსტების შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე აღდგება ამავე მუხლის 39-ე პუნქტის შესაბამისად შემცირებული საშემოსავლო გადასახადი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 7 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

ვებგვერდი, 15/01/2021
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017424

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №5**

2021 წლის 15 იანვარი ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა
მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის
№331 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის №331 ბრძანებაში (ვებგვერდი, 31/12/2020, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.017421) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 11²-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 41-ე პუნქტი:

„41. 2021 წლის 1 მარტამდე დამქირავებელი ვალდებულია 11² მუხლის შესაბამისად „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ ელექტრონულად ასახოს 2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით 112 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად აქტიური და შეჩერებული სტატუსის მქონე დაქირავებული პირების შესახებ ინფორმაცია.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

ვებგვერდი, 31/12/2020
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017416

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №324**

2020 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა
მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 9 დეკემბრის
№297 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 9 დეკემბრის №297 ბრძანების (ვებგვერდი, 11/12/2020, სარეგისტრაციო კოდი 200090000.22.033.017403) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 31 დეკემბრიდან.“.

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

ვებგვერდი, 06/01/2021
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020226

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 302-ე მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დავის განმხილველ ორგანოებს უფლება აქვთ, საჩივარი განიხილონ დისტანციურად, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით. მათ ასევე უფლება აქვთ, საჩივარი განიხილონ მომჩივნის დაუსწრებლად, თუ საქმეში არსებული მასალებიდან სრულად დგინდება დავის საგანთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები.“.

2. 309-ე მუხლის:

ა) 112-ე და 113-ე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„112. 2020 წლის 1 მაისიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, აგრეთვე 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში დამქირავებელი უფლებამოსილია შეიმცროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1500 ლარს არ აღემატება.

შენიშვნა: ამ ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება:

ა) საბიუჯეტო ორგანიზაციაზე;

ბ) საქართველოს ეროვნულ ბანკზე;

გ) ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოზე;

დ) საწარმოზე, რომლის აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი;

ე) ამ შენიშვნის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საწარმოს მიერ დაფუძნებულ/შვილობილ საწარმოზე, თუ ეს საწარმო მის მიერ დაფუძნებული/შვილობილი საწარმოს აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს.

113. პირი უფლებამოსილია 2020 წლის 1 მარტიდან 6 კალენდარული თვის (საანგარიშო პერიოდის), აგრეთვე 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის (საანგარიშო პერიოდის) განმავლობაში გაწეული იჯარის/ლიზინგის მომსახურება დღგ-ით დაბეგროს ამ მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის ფაქტობრივად გადახდის საანგარიშო პერიოდში.“;

ბ) 114-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 114¹ ნაწილი:

„114¹. საქართველოს ფინანსთა მინისტრს/შემოსავლების სამსახურის უფროსს უფლება აქვს, 2020 წლის ნოემბერსა და დეკემბერში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის გადახდისთვის ამ კოდექსით განსაზღვრული ვადა გაუგრძელოს არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა იმ გადასახადის გადამხდელს, რომელიც ახორციელებს ამ მუხლის 115-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში, ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე კურორტ გოდერძიზე ან მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში. აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს ამ კოდექსით გათვალისწინებული საურავი არ ერიცხება.“;

გ) 115-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„115. ქონების გადასახადისგან, რომლის დეკლარირება ამ კოდექსით 2020 ან 2021 წელსაა გათვალისწინებული, გათავისუფლებულია „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ (სეკ 006-2016):

ა) 55.1 კოდით (სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები) ან/და 55.2 კოდით (დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

ბ) 56.1 კოდით (რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

გ) 56.3 კოდით (სასმელებით მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

დ) 79 კოდით (ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება.

შენიშვნა: ამ ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი ვრცელდება იჯარით, ლიზინგით ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზედაც, თუ ეს ქონება ამავე ნაწილით განსაზღვრულ რომელიმე საქმიანობაში გამოიყენება.“;

დ) 129-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 130-ე ნაწილი:

„130. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) ამ მუხლის 114-ე ნაწილის შესაბამისად გადავადებული სამემოსავლო გადასახადი (სამემოსავლო გადასახადი, რომლის გადახდისთვის ამ კოდექსით განსაზღვრული ვადა გაგრძელებულია), თუ იგი ახორციელებს ამ მუხლის 115-ე ნაწილით გათვალისწინებულ რომელიმე საქმიანობას. ამ ნაწილის გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“;

ე) 130-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 131-ე ნაწილი:

„131. ამ კოდექსის 164¹ მუხლის მე-2 ნაწილი და 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ხ“ ქვეპუნქტი გამოიყენება 2023 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული საქონლის იმპორტისას. ამასთანავე, 2023 წლის 1 იანვრამდე საქონლის იმპორტისას დღგ-ით დასაბეგრი თანხა (საქონლის ღირებულება საბაჟო მიზნებისთვის) მოიცავს საქონლის იმპორტიდან გამომდინარე, საქართველოში კუთვნილ იმპორტის გადასახდელს, გარდა დღგ-ისა.“.

მუხლი 2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 131-ე ნაწილის მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
5 იანვარი 2021 წ.
N83-IIრს-Xმ3

ვებგვერდი, 31/12/2020
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017417

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №325
2020 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი
„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს
ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 93-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 93. აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის გაცემა

1. სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის, აზარტული კლუბის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, წამახალისებელი გათამაშების მოწყობისა და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვას გასცემს შემოსავლების სამსახური.

2. აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობისა და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვების გაცემა დასტურდება №VI-01, №VI-02, №VI-03, №VI-04, №VI-05, №VI-06, №VI-06¹, №VI-06² დანართების ფორმის შესაბამისი სანებართვო მოწმობის გაცემით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანებართვო მოწმობის ნუმერაცია განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ა) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების სანებართვო მოწმობა - 19-02/--
- ბ) წამახალისებელი გათამაშების მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-03/---
- გ) სამორინეს მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-04/---
- დ) ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-05/---
- ე) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-06/---
- ვ) ლოტოს მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-07/---
- ზ) ბინგოს მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-08/---
- თ) აზარტული კლუბის მოწყობის სანებართვო მოწმობა - 19-09/---

4. ინფორმაცია გაცემული ნებართვის შესახებ შეიტანება უწყებრივ სანებართვო რეესტრში.“.

2. დანართი №VI-06¹-ს შემდეგ დაემატოს დანართი №VI-06² თანდართული რედაქციით.

3. 95-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შემოსავლების სამსახურის მიერ სანებართვო მოწმობა შეიძლება გაიცეს მატერიალური ფორმით (გარდა აზარტული კლუბის მოწყობის და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების სანებართვო მოწმობისა) ან ელექტრონულად, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) მეშვეობით.“.

4. 98-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშანში იგულისხმება თამაშობის მოწყობისას წამახალისებელი გათამაშების ეტაპის საპრიზო ფონდისათვის, სამორინის მაგიდისთვის, კლუბის მაგიდისთვის, სათამაშო აპარატისთვის, სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობისთვის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე ელექტრონულად გაცემული ნიშნები, რომლებიც ადასტურებს მოსაკრებლის გადახდას და თამაშობის ორგანიზატორის უფლებას თამაშობის მოწყობის ადგილებში სამორინის მაგიდების, კლუბის მაგიდების, სათამაშო აპარატების დადგმის, წამახალისებელი გათამაშების ეტაპის მოწყობის, ასევე სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის ან/და სალაროების მოწყობაზე;

2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშანი უნდა შეიცავდეს:

- ა) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტების მიხედვით მინიჭებულ ნუმერაციის ველს (დიაპაზონს), რომლის ფარგლებშიც გაიცემა მოსაკრებლის გადახდის ნიშნები;
- ბ) მოსაკრებლით დაბეგვრის პერიოდს (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა);
- გ) წამახალისებელი გათამაშების მოწყობის შემთხვევაში - ეტაპის ნომერს.“.

5. 99-ე მუხლის:

ა) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. განაცხადში მიეთითება მოქმედი სამორინის მაგიდების, კლუბის მაგიდის, სათამაშო აპარატის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სალაროს რაოდენობა ან სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოსაწყობი თამაშობა და წამახალისებელი გათამაშების ეტაპის საპრიზო ფონდი. განაცხადს უნდა დაერთოს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.“.

3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდა (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ხდება მოსაკრებლის დაბეგვრის ობიექტის ფაქტობრივი განთავსების ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთის მიხედვით.“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორის მიერ გადასახდელი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობაა წამახალისებელი გათამაშების ეტაპის საპრიზო ფონდის 10 პროცენტი, რომლის გადახდა ხდება ნებართვის მფლობელის იურიდიული მისამართის მიხედვით მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთის მიხედვით.“;

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ნიშნის შეძენა მოსაკრებლის გადამხდელის მიერ ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) დაწყებამდე, წინა კვარტალის განმავლობაში.“;

დ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„41. წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი ვალდებულია სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი გადაიხადოს წამახალისებელი გათამაშების ეტაპის დაწყებამდე.“;

ე) მე-5 - მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელი (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) საქმიანობას ანახლებს საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) განმავლობაში ან საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) განმავლობაში გადამხდელს ემატება დაბეგვრის ახალი ობიექტი, მაშინ მოსაკრებლის გადახდის ნიშანი გაიცემა მიმდინარე საანგარიშო კვარტალზე, ამასთან მოსაკრებელი საანგარიშო პერიოდზე გადაიხდება სრულად.

6. თუ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელი (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ნებართვას იღებს საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) განმავლობაში, მაშინ მოსაკრებლის გადახდის ნიშანი გაიცემა მიმდინარე საანგარიშო კვარტალზე, ხოლო მოსაკრებელი საანგარიშო პერიოდზე გადაიხდება მოსაკრებლის გადახდის ნიშნის გაცემის მოთხოვნის შესახებ განცხადების შემოტანიდან დარჩენილი დღეების პროპორციულად.

7. თუ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელი (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) განმავლობაში ახორციელებს ობიექტის ადგილმდებარეობის ცვლილებას იმ ტერიტორიაზე, სადაც დადგენილია სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განსხვავებული (მეტი) განაკვეთი, ობიექტის ადგილმდებარეობის ცვლილებიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხდება მოსაკრებლის განსხვავებული ოდენობა.

8. თუ აზარტული ან მომგებიანი თამაშების მოწყობის ნებართვის მოქმედების ვადა სრულდება საანგარიშო პერიოდის (კვარტალის) განმავლობაში, მაშინ მოსაკრებლის გადახდის ნიშანი (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) გაიცემა მიმდინარე საანგარიშო კვარტალზე, ხოლო მოსაკრებელი საანგარიშო პერიოდზე გადაიხდება ნებართვის მოქმედების ვადის დასრულებამდე დარჩენილი დღეების პროპორციულად.“.

6. 104-ე და 105-ე მუხლები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება, გარდა პირველი მუხლის მე-6 პუნქტისა, ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

დანართი №VI-062



შემოსავლების სამსახური აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების სანებართვო მოწმობა № 00-00/000

(ნებართვის მფლობელის დასახელება/სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი)

(იურიდიული მისამართი)

უფლება ეძლევა კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით უზრუნველყოს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდება.

ნებართვა მოქმედებს 20 — წლის „—“ — ჩათვლით.

ნებართვა გაცემულია შემოსავლების სამსახურის მიერ 20 — წლის „—“ № — ბრძანების საფუძველზე.

ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სანებართვო პირობები.

ა) დღგ-ის გადახდელად ითვლება პირი, რომლის სამეურვეო ქონების რეალიზაციაც ხდება „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

ბ) ამ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ის თანხის ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის (სამეურვეო ქონების მესაკუთრის) სახელით ბიუჯეტში გადახდას უზრუნველყოფს საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი;

გ) დღგ-ით არ იბეგრება (გარდა სამეურვეო ქონების ერთიანი კომპლექსის სახით რეალიზაციის (მიწოდების) შემთხვევისა):

გ.ა) ინდივიდუალური მეწარმის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის/სახლის მიწოდება;

გ.ბ) მიწის ნაკვეთის მიწოდება;

გ.გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდება;

გ.დ) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდება.

5. საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირად ითვლება პირი, რომელიც ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქონლის რეალიზაციას. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ ფულადი ვალდებულების გადახდევინების მიზნით კრედიტორი თავად ახორციელებს მოვალის/მესამე პირის საქონლის (მათ შორის, უზრუნველყოფის საგნის) რეალიზაციას (მიწოდებას), ამ ოპერაციაზე რეალიზაციის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირად ითვლება კრედიტორი.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

ა) საქონლის სარეალიზაციო ფასი (მყიდველის მიერ გადახდილი/გადასახდელი ანაზღაურება) მოიცავს დღგ-ის თანხას;

ბ) საქონლის რეალიზაციის (მიწოდების) დღგ-ით დაბეგვრისას არ ვრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 170-ე – 172-ე მუხლების, ასევე, ამავე კოდექსით გათვალისწინებული სხვა საკანონმდებლო ნორმების მოქმედება, რომელიც ითვალისწინებს საქონლის მიწოდების დღგ-სგან გათავისუფლებას.

7. მიწისა და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის რეალიზაციისას ოპერაცია ითვლება შენობა-ნაგებობის რეალიზაციად.

მუხლი 66². ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დაბეგვრა

1. ამ ინსტრუქციის 66¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქონლის რეალიზაციის (მიწოდების) განმახორციელებელ უფლებამოსილ პირს ამ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდა და საგადასახადო ორგანოში ინფორმაციის წარდგენა ევალება:

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში საქონლის აუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის წესით რეალიზაციისას, რომელიც მოიცავს:

ა.ა) მოვალის საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული და ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ;

ა.ბ) ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის აუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის წესით რეალიზაციას საგადასახადო ორგანოს მიერ;

ბ) სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას, რომელიც მოიცავს შემდეგ შემთხვევებს:

ბ.ა) გირავნობის საგნის რეალიზაცია – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად;

ბ.ბ) იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად;

ბ.გ) ქონების რეალიზაცია – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

გ) სხვა ნებისმიერ შემთხვევაში საქონლის რეალიზაციისას (მიწოდებისას), თუ აღნიშნული რეალიზაცია ხორციელდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის

თლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით.

2. ამ ინსტრუქციის 66¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირს ამ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდა და საგადასახადო ორგანოში ინფორმაციის წარდგენა ევალება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სამეურვეო ქონების აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას.

3. ამ ინსტრუქციის 66¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) დაადგინოს:

ა.ა) ექვემდებარება თუ არა ეს ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას;

ა.ბ) არის თუ არა პირი (საქონლის/სამეურვეო ქონების მესაკუთრე) ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, თუ ხორციელდება ფიზიკური პირის ქონების მიწოდება;

ბ) არა უგვიანეს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა უზრუნველყოს:

ბ.ა) პირის (საქონლის/სამეურვეო ქონების მესაკუთრის) სახელით დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდა;

ბ.ბ) ინფორმაციის წარდგენა საგადასახადო ორგანოში, ამ ინსტრუქციის №III-19¹ დანართის შესაბამისად.

4. საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას იღებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით.

5. საქართველოს საგადასახადო კოდექსის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ან „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე რეალიზაციისას, დასაბეგრი ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის დროდ ითვლება სერტიფიკატის ან განკარგულების გამოცემის მომენტი.

6. საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის მიერ ამ თავით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

7. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას (მიწოდებისას):

ა) საქონლის მესაკუთრეს ამ ოპერაციაზე არ ეკისრება დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდისა და დღგ-ის დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენის ვალდებულება, თუ საქონლის რეალიზაციას ახორციელებს ის პირი, რომელიც არ არის სარეალიზაციო საქონლის მესაკუთრე;

ბ) ეს ოპერაცია არ იბეგრება ამ თავის შესაბამისად, თუ საქონლის რეალიზაციას ახორციელებს ის პირი, რომელიც სარეალიზაციო საქონლის მესაკუთრეა.

8. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით, სამეურვეო ქონების აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას სამეურვეო ქონების მესაკუთრეს ამ ოპერაციაზე არ ეკისრება დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდისა და დღგ-ის დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენის ვალდებულება.

მუხლი 66³. ცალკეულ შემთხვევებში გადახდილი დღგ-ის დარიცხვა და ჩათვლა

1. ამ ინსტრუქციის 66¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის მიერ ამ ინსტრუქციის 66² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ინფორმაციის წარდგენა ითვლება პირის (საქონლის/სამეურვეო ქონების მესაკუთრის) მიერ დღგ-ის დეკლარირებად ინფორმაციაში დაფიქსირებული დღგ-ის თანხის შესაბამისი ოდენობით და აღნიშნული საქონლის/სამეურვეო ქონების მესაკუთრის პირადი აღრიცხვის ბარათზე თანხის დარიცხვის საფუძველია.

2. ამ ინსტრუქციის 66¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დასაბეგრი ოპერაციაზე დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტს წარმოადგენს მყიდველის მიერ საქონლის შეძენის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქონლის შესაძენად გადახდილი თანხის ოდენობა (სარეალიზაციო ფასი). ჩათვლის დოკუმენტში დღგ-ის თანხის ოდენობა უნდა მითითდეს ცალკე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ჩათვლის დოკუმენტებია:

ა) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის შესაბამისად გამოცემული განკარგულება, აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ;

ბ) „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად გამოცემული განკარგულება, აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ;

გ) „საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დამტკიცებული წესის 55-ე მუხლის შესაბამისად, მალფუჭი ბადი საქონლის საკუთრების დამადასტურებელი სერტიფიკატი;

დ) სხვა დოკუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ მოთხოვნებს და რომლითაც შესაძლებელია ამ ოპერაციის მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება, აქვს თარიღი და მოიცავს რეალიზებული საქონლის ჩამონათვალსა და ღირებულებას.

23. XVI¹ თავის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის XVI² თავი და თანდართული რედაქციის №III-19², №III-19³, №III-19⁴, №III-19⁵, №III-19⁶ დანართები:

„თავი XVI². სპეციალური სქემები

მუხლი 66⁴. მეორადი ნივთის, ხელოვნების ნიმუშის, საკოლექციო ან ანტიკვარული ნივთის მიწოდების შემთხვევაში დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემის გამოყენების და ამ სქემის გამოყენების შესახებ საგადასახადო ორგანოს ინფორმირების წესი

1. დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემის გამოყენების/სქემით სარგებლობის მსურველი დასაბეგრი დილერი, ანუ პირი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, შემდგომი რეალიზაციის მიზნით ყიდულობს ან საკუთარი ეკონომიკური საქმიანობისთვის იყენებს მეორად ნივთს, ხელოვნების ნიმუშს, საკოლექციო ნივთს ან ანტიკვარიატს ან ახორციელებს ამ საქონლის იმპორტს, ვალდებულია, დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემის გამოყენებამდე, მიმართოს საგადასახადო ორგანოს ამ ინსტრუქციის №III-19² დანართით გათვალისწინებული ფორმის განცხადებით.

2. ხელოვნების ნიმუშების, საკოლექციო ნივთების და ანტიკვარიატის სახეები განისაზღვრება ამ ინსტრუქციის №III-19³ დანართით.

3. დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემით მოსარგებლე დასაბეგრი დილერების რეესტრს აწარმოებს შემოსავლების სამსახური ამ ინსტრუქციის №III-19⁴ დანართით გათვალისწინებული ფორმით.

4. დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემით მოსარგებლე დასაბეგრი დილერს უფლება აქვს მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური სქემით მოსარგებლე დასაბეგრი დილერების რეესტრიდან ამოღების მოთხოვნით ამ ინსტრუქციის №III-19⁵ დანართით გათვალისწინებული ფორმის განცხადებით.

5. ამ მუხლის მიზნებისთვის:

ა) დასაბეგრი დილერის მოგების მარჟა არის დადებითი სხვაობა საქონლის მიწოდების ფასსა და მის შესყიდვის ფასს შორის;

ბ) დასაბეგრი დილერის მიერ იმპორტირებული საქონლის შესყიდვის ფასი, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოგების მარჟის გაანგარიშებისას, არის ამ საქონლის იმპორტისას დღგ-ით დასაბეგრი თანხისა და შესაბამისი დღგ-ის თანხის ჯამი;

გ) დასაბეგრი დილერის მიერ საქონლის მიწოდების შედეგად დღგ-ით დასაბეგრი თანხა მიიღება მოგების მარჟის ოდენობის 1,18-ზე გაყოფით, ხოლო დღგ-ის თანხა – ამ გაყოფის შედეგად მიღებული თანხის 0,18-ზე გამრავლებით;

დ) დასაბეგრი დილერს არ აქვს უფლება, მიიღოს დღგ-ის ჩათვლა იმ საქონელზე, რომლის მიწოდება იბეგრება სპეციალური სქემით.

ე) დასაბეგრი პირს არ აქვს უფლება, მიიღოს დღგ-ის ჩათვლა მისთვის დასაბეგრი დილერის მიერ მიწოდებულ ან მისაწოდებელ საქონელთან დაკავშირებით, თუ ამ საქონლის მიწოდება სპეციალური სქემით იბეგრება.

ვ) დასაბეგრი დილერის მიერ სპეციალური სქემით სარგებლობის ფარგლებში საქონლის მიწოდების შემთხვევაში გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურაში დღგ-ის თანხის გამოყოფა არ ხდება.

6. დასაბეგრი დილერი ვალდებულია, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ რეესტრში შეტანის თვიდან დაწყებული, ყოველ საანგარიშო პერიოდზე, საანგარიშო პერიოდის (თვის) მომდევნო თვის არა უგვიანეს 15 რიცხვისა, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია სპეციალური სქემით დაბეგრილი ოპერაციების შესახებ (ამ თავის მიზნებისათვის შემდგომში – ინფორმაცია) დანართი №III-19⁶ ფორმით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია წარმოადგენს დღგ-ის შესაბამისი პერიოდის დეკლარაციის განუყოფელ ნაწილს და ამ ინფორმაციაში ასახული დღგ-ის თანხა შეიტანება დღგ-ის დეკლარაციის შესაბამის დანართში.“

24. 67-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 67. დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციების დაბეგვრის უფლების გამოყენება

1. დასაბეგრი პირი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ამავე კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით ოპერაციების დღგ-ით დაბეგვრის უფლების გამოყენების მიზნით, მიმართავს საგადასახადო ორგანოს №III-20 დანართით გათვალისწინებული ფორმის განცხადებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენება დასაბეგრი პირს შეუძლია საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის შემდეგი საანგარიშო პერიოდის პირველი რიცხვიდან.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში:

ა) საგადასახადო ორგანო ვალდებულია დასაბეგრი პირი გაატაროს რეგისტრაციაში;

ბ) დასაბეგრი პირი ვალდებულია დღგ-ით დაბეგვრის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 171-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერაციები, რომლებიც ამ დასაბეგრი პირისათვის აღარ ჩაითვლება დღგ-საგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულად.“

25. დანართი №III-20 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

26. 68¹ და 69-ე მუხლები ამოღებულ იქნეს.

27. XVIII თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XVIII. დღგ-ის ჩათვლა

მუხლი 72. დღგ-ის ჩათვლის მიღების წესი

1. თუ საქონელი/მომსახურება გამიზნულია ან გამოიყენება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისთვის, გარდა ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციებისა, დასაბეგრი პირს უფლება აქვს ჩაითვალოს:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე სხვა დასაბეგრი პირისგან ამ საქონლის/მომსახურების შეძენისთვის გადახდილი/გადასახდელი დღგ;

ბ) ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდებად ან მომსახურების გაწევად, განხილულ ოპერაციებთან დაკავშირებით გადასახდელი დღგ;

გ) საქონლის იმპორტისას გადახდილი/გადასახდელი დღგ;

დ) უკუდაბეგვრის წესით დაბეგვრის შემთხვევაში დარიცხული დღგ.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დასაბეგრი პირს უფლება აქვს ჩაითვალოს საქონლის/მომსახურების შეძენაზე ან შექმნაზე გაწეულ ხარჯთან დაკავშირებული დღგ-ის თანხა, თუ საქონელი ან მომსახურება გამოიყენება:

ა) საქართველოს ტერიტორიის გარეთ მომსახურების გაწევისთვის/საქონლის მიწოდებისთვის;

ბ) დღგ-საგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებში;

გ) ფინანსური მომსახურებისთვის/ოპერაციებისთვის, თუ მომხმარებელი საქართველოს ფარგლებს გარეთაა დაფუძნებული, ან თუ ეს ოპერაციები უშუალოდ არის დაკავშირებული საქონელთან, რომელიც საქართველოდან უნდა იქნეს ექსპორტირებული.

დ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ ოპერაციებში.

3. დასაბეგრი პირს უფლება არ აქვს ჩაითვალოს:

ა) დღგ, თუ იგი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად;

ბ) იმ საქონელზე/მომსახურებაზე (გარდა ძირითადი საშუალებებისა) გაწეული ხარჯის ღირებულებაზე მიკუთვნებული დღგ-ის თანხა, რომელიც დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციამდე პერიოდში გამოყენებულია დასაბეგრი ოპერაციებში;

გ) სოციალური მიზნით ან გასართობი ღონისძიებებისთვის გაწეული ხარჯის ან წარმომადგენლობითი ხარჯის ღირებულებაზე მიკუთვნებულ დღგ-ის თანხა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული საქონლის/მომსახურების მიწოდება იზერება დღგ-ით (ამ პირის ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს);

დ) იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, რომლებიც არ იძლევა საქონლის/მომსახურების გამყიდველის იდენტიფიცირების საშუალებას ან არ არის გამოწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ე) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, რომელშიც ასახული დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების კალენდარული წლის დასრულებიდან გასულია 3 წელი. თუ დღგ-ის ჩათვლა

განხორციელდა დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებიდან მე-3 წელს, დასაბეგრი ოპერაციაში მონაწილე მხარეების მიმართ (ამ ოპერაციის ფარგლებში) საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრული პირველი, მე-3 და მე-5 ნაწილებით ხანდაზმულობის ვადა 1 წლით გრძელდება. ამასთანავე, დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება, არაუგვიანეს ამ უფლების წარმოშობის წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის შესაბამისი დეკლარაციით (მათ შორის, შესწორებული დეკლარაციით);

ვ) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, რომელიც ასახავს ფიქტიურ გარიგებას ან უსაქონლო ოპერაციას.

მუხლი 73. დღგ-ის პროპორციული ჩათვლის მიღების წესი

1. თუ საქონელს ან მომსახურებას დასაბეგრი პირი იყენებს როგორც ოპერაციებისთვის რომელზეც აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, ისე ოპერაციებისთვის, რომელზეც ეს უფლება არ აქვს, ხორციელდება დღგ-ის თანხის მხოლოდ იმ ნაწილის ჩათვლა, რომელიც მიეკუთვნება ოპერაციებს, რომელზეც მას აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება.

2. დღგ-ის ჩასათვლელი ნაწილი გამოითვლება წილადის მიხედვით და ფიქსირდება პროცენტად, სადაც:

ა) მრიცხველი არის დასაბეგრი პირის მიერ განხორციელებული იმ ოპერაციების წლიური ბრუნვის თანხა, დღგ-ის გარეშე, რომელთან დაკავშირებითაც დღგ ექვემდებარება ჩათვლას;

ბ) მნიშვნელი არის დასაბეგრი პირის მიერ განხორციელებული იმ ოპერაციების წლიური ბრუნვის თანხა, დღგ-ის გარეშე, რომელიც მრიცხველშია ასახული და დასაბეგრი პირის მიერ განხორციელებული ოპერაციებისა, რომელზეც დღგ არ ექვემდებარება ჩათვლას.

3. დღგ-ის ჩათვლას დაქვემდებარებული პროპორციული წილის გამოთვლისას, არ გაითვალისწინება ბრუნვის თანხა რომელიც უკავშირდება:

ა) დასაბეგრი პირის მიერ საკუთარი საქმიანობისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალების მიწოდებას;

ბ) უძრავ ნივთთან დაკავშირებულ ან ფინანსურ ოპერაციებს, თუ ეს ოპერაციები არ არის დასაბეგრი პირის ძირითადი საქმიანობა.

4. საანგარიშო პერიოდის მიხედვით ჩასათვლელი დღგ-ის თანხა განისაზღვრება:

ა) წინა საგადასახადო წელს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაფიქსირებული წლიური პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც ზუსტდება მიმდინარე საგადასახადო წლის წლიური პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, ამავე წლის ბოლო საანგარიშო პერიოდში;

ბ) ყოველ საანგარიშო პერიოდში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაფიქსირებული თვის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც ზუსტდება მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდში, წლიური პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, თუ წინა საგადასახადო წლის შესაბამისი წლიური პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირებული არ არის.

5. თუ ძირითადი საშუალება დასაბეგრი პირის მიერ გამოიყენება ან გამიზნულია გამოსაყენებლად, როგორც ოპერაციებისთვის რომელზეც აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, ისე ოპერაციებისთვის, რომელზეც ეს უფლება არ აქვს და ამ ოპერაციების გამიჯვნა შეუძლებელია, დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) თუ დასაბეგრი პირის მიერ წინა საგადასახადო წლის მიხედვით ოპერაციების თანხა, რომელზეც მას არ აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, საერთო ბრუნვის (საქონლის/მომსახურების მიწოდებათა ჯამური თანხა, დღგ-ს გარეშე) 20 პროცენტზე ნაკლებია, პირს უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად მიიღოს დღგ-ის ჩათვლა, ამასთანავე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს გასაუქმებელი დღგ-ის თანხა განსაზღვროს კალენდარული წლის საერთო ბრუნვის თანხაში იმ დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წილის პროპორციულად, რომელზეც მას არ აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება;

ბ) დასაბეგრი პირს, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, უფლება აქვს, ძირითად საშუალებაზე მიიღოს დღგ-ის ჩათვლა მხოლოდ ყოველი კალენდარული წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვაში იმ დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წილის პროპორციულად, რომელზეც მას აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისთვის, ყოველწლიურად გასაუქმებელი (ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში) ან ჩასათვლელი (ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში) დღგ-ის თანხა გაიანგარიშება:

ა) უძრავ ნივთზე – დასაბეგრი ოპერაციებში გამოყენების დაწყების წლიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეათედის ოდენობით;

ბ) სხვა ძირითად საშუალებებზე – დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენების დაწყების წლიდან 5 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეხუთედის ოდენობით.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული დებულებების მიუხედავად, დასაბეგრ პირს უფლება აქვს პირველივე საანგარიშო პერიოდში სრულად ჩაითვალოს დღგ, თუ მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში გაუმიჯნავ ოპერაციებში, ოპერაციების თანხა, რომელზეც მას არ აქვს დღგ-ს ჩათვლის მიღების უფლება საერთო ბრუნვის თანხის 5 პროცენტზე ნაკლებია.

8. დასაბეგრი პირის მიერ, საკუთარი წარმოების შენობის/ ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების ან/და მის მიერ განხორციელებული საკუთარი ძირითადი საშუალების (შენობის/ნაგებობის) რემონტის შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, აღნიშნული წარმოადგენს თუ არა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე და 1601 მუხლების შესაბამისად დასაბეგრ ოპერაციებს, ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული დებულებები ვრცელდება იმ ფარგლებში, როგორც ის გავრცელდებოდა შესაბამისად, შენობის/ნაგებობის ან სარემონტო მომსახურების სხვა პირისგან შეძენის შემთხვევაში.

9. ამ მუხლით გათვალისწინებულ წლიური ბრუნვის თანხაში:

ა) ასევე შეიტანება შესაბამისი წლის საანგარიშო პერიოდებში საქონლის მიწოდებამდე/ მომსახურების გაწევამდე მიღებული ანაზღაურება/ანაზღაურების ნაწილი, თუ შესაბამისი ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დროს;

ბ) არ გაითვალისწინება ის ოპერაციები, რომელთა დაბეგვრის დრო არ არის შესაბამისი წლის საანგარიშო პერიოდებში.

მუხლი 73¹. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის/რეგისტრაციის გაუქმების ან ძირითადი საშუალებების მიწოდების დროს, ძირითად საშუალებებზე ჩასათვლედი/ გასაუქმებელი დღგ-ის თანხის განსაზღვრა

1. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის/რეგისტრაციის გაუქმების ან ძირითადი საშუალებების მიწოდების დროს, ძირითად საშუალებებზე ჩასათვლედი/გასაუქმებელი დღგ-ის თანხა განისაზღვრება საგადასახადო წლების მიხედვით, ამ ძირითადი საშუალებების დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენების პროპორციულად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში, ძირითად საშუალებებზე ჩასათვლედი დღგ-ის თანხა განისაზღვრება საგადასახადო წლების მიხედვით ამ ძირითადი საშუალების დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდგომ (რეგისტრაციის საგადასახადო წლის ჩათვლით) დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენების პროპორციულად.

შენიშვნა: ამ ქვეპუნქტის მოქმედება ასევე ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც დასაბეგრი პირი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2021 წლის 1 იანვრამდე. მოცემულ შემთხვევაში, 2021 წლის 1 იანვრიდან ძირითად საშუალებებზე ჩასათვლედი დღგ-ის თანხა განისაზღვრება საგადასახადო წლების მიხედვით ამ ძირითადი საშუალების დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენების პროპორციულად.

3. დასაბეგრი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე დღგ-ის გადამხდელის რეგისტრაციის გაუქმებისას ან/და დასაბეგრი პირის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას ამ ძირითადი საშუალების საკუთრებაში დატოვების შემთხვევაში:

ა) თუ აღნიშნული ქმედება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას ან დღგ-საგან გათავისუფლებულია ჩათვლის უფლებით, ითვლება რომ დარჩენილ პერიოდზე (იმ წლის ჩათვლით, როდესაც განხორციელდა რეგისტრაციის გაუქმება ან ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტა) აღნიშნული ძირითადი საშუალება მთლიანად გამოყენებულია დასაბეგრ ოპერაციებში, რომელზეც დასაბეგრ პირს აქვს ჩათვლის უფლება;

ბ) თუ აღნიშნული ქმედება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით არ წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას ან დღგ-საგან გათავისუფლებულია ჩათვლის უფლების გარეშე, ითვლება რომ დარჩენილ პერიოდზე (იმ წლის ჩათვლით, როდესაც განხორციელდა რეგისტრაციის გაუქმება ან ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტა) აღნიშნული ძირითადი საშუალება მთლიანად გამოყენებულია ოპერაციებში, რომელზეც დასაბეგრ პირს არ აქვს ჩათვლის მიღების უფლება.

4. დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელის რეგისტრაციის გაუქმებისას ან დასაბეგრი პირის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას ამ ძირითადი საშუალების საკუთრებაში დატოვების შემთხვევაში თუ აღნიშნული ქმედება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას (იბეგრება დღგ-ით), დასაბეგრ პირს უფლება აქვს ამ ოპერაციის განხორციელების საანგარიშო პერიოდში:

ა) სრულად ჩაითვალოს ამ ოპერაციასთან დაკავშირებით დარიცხული დღგ, თუ გასულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის მე-6 ნაწილით ამ სახის ძირითადი საშუალებისათვის განსაზღვრული ვადა;

ბ) ჩაითვალოს ამ ოპერაციასთან დაკავშირებით დარიცხული დღგ-ის ნაწილი გასული წლების პროპორციულად, თუ გასული არ არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის მე-6 ნაწილით ამ სახის ძირითადი საშუალებისათვის განსაზღვრული ვადა.

5. თუ დასაბეგრი პირის მიერ ძირითადი საშუალების მიწოდება განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე, ითვლება, რომ მიწოდებული აქტივები სრულად გამოყენებულია დასაბეგრ ოპერაციებში, რა დროსაც:

ა) თუ მიწოდების ოპერაცია იბეგრება დღგ-ით ან გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით, ითვლება რომ დარჩენილ პერიოდზე (იმ წლის ჩათვლით, როდესაც განხორციელდა მიწოდება) აღნიშნული ძირითადი საშუალება მთლიანად გამოყენებულია დასაბეგრ ოპერაციებში, რომლებზეც დასაბეგრ პირს აქვს ჩათვლის უფლება;

ბ) თუ მიწოდების ოპერაცია არ იბეგრება დღგ-ით ან გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლების გარეშე, ითვლება რომ დარჩენილ პერიოდზე (იმ წლის ჩათვლით როდესაც განხორციელდა მიწოდება) აღნიშნული ძირითადი საშუალება მთლიანად გამოყენებულია ოპერაციებში, რომლებზეც დასაბეგრ პირს არ აქვს ჩათვლის მიღების უფლება.

მუხლი 73². ცალკეული შემთხვევები, როდესაც დღგ-ის ჩათვლა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულისგან განსხვავებული საფუძველით

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით, ამავე კოდექსის 176-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ჩათვლის მიღების საფუძველია:

ა) დასაბეგრი პირის მიერ საკუთარი წარმოების შენობის/ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების შემთხვევაში, ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდებად განხილულ ოპერაციებზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა;

ბ) დასაბეგრი პირის მიერ საკუთარი ძირითადი საშუალების (შენობის/ნაგებობის) რემონტის შემთხვევაში, ანაზღაურების სანაცვლოდ მომსახურების გაწევად განხილულ ოპერაციებზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა;

გ) დასაბეგრი პირის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ ძირითადი საშუალებების საკუთარ მფლობელობაში დატოვების დასაბეგრ ოპერაციად განხილვის შემთხვევაში დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა;

დ) დასაბეგრი პირის დღგ-ის გადამხდელის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, როდესაც ნაშთად არსებული ძირითადი საშუალებები განიხილება დასაბეგრ ოპერაციად, ამ ძირითად საშუალებებზე დარიცხული და დღგ-ის დეკლარაციაში ასახული დღგ-ის თანხა.

ე) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მეორე და შემდგომ წლებში შესაბამისი პერიოდის დღგ-ის დეკლარაციის III ნაწილის „ბ“ დანართის შესაბამის გრაფაში დაფიქსირებული საანგარიშო პერიოდში ჩასათვლელი დღგ-ის თანხა.

შენიშვნა: ამ მუხლის „ა“, „ბ“, „დ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ჩათვლის უფლება ასევე ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ დღგ-ის დარიცხვა განხორციელებულია საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 73³. დღგ-ის თანხის კორექტირება

1. დღგ-ის დასაბეგრი თანხა და, შესაბამისად, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა კორექტირდება, თუ შეიცვალა გარემოებები/ფაქტორები, რის საფუძველზეც დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს განისაზღვრა დღგ-ით დასაბეგრი თანხა.

2. დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება ხორციელდება კორექტირების გამოწვევი გარემოების დადგომის საანგარიშო პერიოდში.

3. დასაბეგრი ოპერაციის თანხა და, შესაბამისად, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა კორექტირდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) გაუქმდა დასაბეგრი ოპერაცია, მათ შორის, ხელახალი რეგისტრაციის დროს დღგ-ის გადამხდელად წინა რეგისტრაციის გაუქმებისას მიწოდებად განხილული საქონლის არსებულ ნაშთზე;

ბ) შეიცვალა დასაბეგრი ოპერაციის სახე (მათ შორის, შეიცვალა დაბეგვრის რეჟიმი);

გ) მხარეთა შეთანხმებით, შეიცვალა დაბეგვრის მომენტში განსაზღვრული ანაზღაურების თანხა, გარდა ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებისა;

დ) საქონელი/მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული ერთ-ერთი გარემოების დადგომისას დასაბეგრი

ოპერაციის თანხა კორექტირდება, თუ გადამხდელის მიერ:

- ა) საგადასახადო ორგანოში წარდგენილია ან/და დღგ-ის დეკლარაციაში ასახულია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა არასწორად არის მითითებული;
- ბ) დღგ-ის დეკლარაციაში არასწორად არის მითითებული დღგ-ის თანხა;
- გ) გამოწერილია დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა არასწორად არის მითითებული.

5. კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დასაბეგრი ოპერაციის კორექტირება.

6. დღგ-ით დასაბეგრი თანხა ასევე კორექტირდება მრავალჯერადი (დაბრუნებადი) საქონლის/ტარის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, როდესაც დღგ-ით დასაბეგრ თანხაში არ შეიტანება მრავალჯერადი (დაბრუნებადი) საქონლის/ტარის ხარჯები, ამასთან, მიწოდების საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან სამი საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ დაბრუნებადი საქონელი/ტარა არ იქნა დაბრუნებული. ამ შემთხვევაში, მეოთხე საანგარიშო პერიოდში დგება დასაბეგრი თანხის კორექტირების გარემოება და დამატებით დაბეგვრას ექვემდებარება აღნიშნულ საქონელზე/ტარზე გაწეული ხარჯის ღირებულება.

7. „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ელექტროენერგეტიკული საქმიანობის განმახორციელებელ საწარმოს, როდესაც ფასის შემცირების გამო ან სხვა მიზეზით შეცვლილია ოპერაციაზე ადრე შეთანხმებული კომპენსაციის თანხა, უფლება აქვს, დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება განახორციელოს არაუგვიანეს მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლოს, თუ დასაბეგრი ოპერაციის თანხის ცვლილება გამოწვეულია გარანტირებული სიმძლავრის ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ცვლილებით ან/და კვალიფიციური საწარმოს მიერ წარმოებული, იმპორტირებული, მოხმარებული (შესყიდული) ან/და ექსპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობის ცვლილებით, მიუხედავად იმისა, იცვლება თუ არა ამის შედეგად ელექტროენერგიის გასაყიდი ან/და შესასყიდი ტარიფი (ფასი).“;

28. XIX³ თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XIX³. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დასაბეგრი პირისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი და პირობები“.

29. 75⁹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 75⁹. ზოგადი დებულებები

ამ თავით განისაზღვრება იმ პირისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი და პირობები, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ით დასაბეგრ პირს (ამ თავის მიზნებისათვის შემდგომში დასაბეგრი პირი), აგრეთვე კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით დანიშნავს გადამხდელი.“.

30. 75¹⁰ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დასაბეგრ პირს უფლება აქვს, დაიბრუნოს საქართველოში საქონლის (გარდა უძრავი ქონებისა)/მომსახურების შეძენისას ან საქართველოში საქონლის იმპორტისას გადახდილი დღგ-ის თანხა, თუ აღნიშნული პირი აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

ა) პირს საქართველოში არ გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება ან მისი საქმიანობის ადგილი (რასთან დაკავშირებითაც ითხოვს დღგ-ის დაბრუნებას) ან/და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში არ არის;

ბ) პირის მიერ საქართველოში შეძენილი საქონელი/მომსახურება ან იმპორტირებული საქონელი დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში გამოიყენება;

გ) მსგავსი ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, ამ კოდექსის შესაბამისად, უფლებამოსილი იქნებოდა, ჩაეთვალიერებინა გადახდილი დღგ.

შენიშვნა: ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად განიხილება საქმიანობა, რის გამოც პირი განიხილება დასაბეგრ პირად.“.

31. 75¹¹ მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით დასაბეგრი პირი ვალდებულია დანიშნოს უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც ამ თავით გათვალისწინებული დღგ-ის თანხის დაბრუნების ფარგლებში ეკისრება გადასახადის გადამხდელისათვის ამ თავითა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებები.

2. უფლებამოსილი წარმომადგენელი წარმოადგენს დასაბეგრი პირის ინტერესებს და მოქმედებს მის მიერ გაცემული და სანოტარო წესით დადასტურებული მინდობილობის საფუძველზე, ასეთი მინდობილობით, ამ წესით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღ-

ვრული უფლებამოსილების ფარგლებში.“;

ბ) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელიც ინიშნება დასაბეგრი პირის მიერ, დასაბეგრ პირთან ერთად სოლიდარულად პასუხისმგებელია არასწორი ინფორმაციის საფუძველზე დაბრუნებული დღგ-ის თანხის ანაზღაურებაზე.

5. დღგ-ის თანხის დაბრუნების ნებისმიერი შემდგომი განცხადების დაკმაყოფილება არ ხდება, თუ დასაბეგრ პირს ან უფლებამოსილ წარმომადგენელს გააჩნიათ შეუსრულებელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება.“.

32. 75¹² მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დასაბეგრმა პირმა, დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით, უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურში უნდა წარადგინოს განცხადება №III-28 დანართის ფორმით.“.

33. 75¹³ მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის მიერ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ით დასაბეგრი პირისათვის გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ასლი (არსებობის შემთხვევაში, კორექტირებული ანგარიშ-ფაქტურები);“;

ბ) მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პირისათვის ევროკავშირის შესაბამის წევრ სახელმწიფოში მინიჭებული დღგ-ით დასაბეგრი პირის საიდენტიფიკაციო ნომერი და დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღი;“;

ბ.ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქმიანობის სახე, რასაც ეწეოდა დასაბეგრი პირი იმ საანგარიშო პერიოდში, რაზეც წარმოდგენილია დღგ-ის თანხის დაბრუნების მოთხოვნა, წარმომადგენს თუ არა შესაბამის სახელმწიფოში დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას.“;

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დასაბეგრი პირი ვალდებულია, უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა დღგ-ის თანხის დაბრუნების მოთხოვნის შესაფასებლად.“.

34. 75¹⁷ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დასაბეგრი პირის მიერ საქართველოში განხორციელებული საქმიანობა, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა საქონლის/მომსახურების შემენა ან/და საქონლის იმპორტი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გათვალისწინებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლების გარეშე.“.

35. 75¹⁸ მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დასაბეგრი პირის განცხადებით მოთხოვნილი დღგ-ის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს შემოსავლების სამსახურის უფროსი/უფლებამოსილი პირი. გადაწყვეტილება მიიღება შემოსავლების სამსახურში განცხადების რეგისტრაციის დღიდან ექვსი თვის ვადაში, რის შემდეგაც გადაწყვეტილება ეგზავნება დასაბეგრ პირს, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.

2. ამ ინსტრუქციის 75¹³ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენილობის ან წარმოდგენილ განცხადებაში/დოკუმენტაციაში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური დასაბეგრი პირის წარმომადგენელს ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან/და ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს 1-თვიან ვადას, რა დროსაც ჩერდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადა.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის დადგენის ან/და განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს მხოლოდ ის გარემოება, რომ შესაბამისი დასაბეგრი ოპერაციის ფარგლებში საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების ანაზღაურების თანხის/ თანხის ნაწილის გადახდისას, საქონლის მიმწოდებლის/ მომსახურების გამწევის მიერ მატერიალური ფორმის ანგარიშ-ფაქტურა არ არის გამოწერილი ამ ინსტრუქციის №III-05¹ დანართით დადგენილი ფორმით.“.

36. დანართი №III-28 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

37. 112-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 38-ე – 41-ე პუნქტები:

„38. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია საქართველოს საგადასახადო კოდექ-

სით დადგენილი წესის შესაბამისად განახორციელოს დღგ-ის ჩათვლა „იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების განსაზღვრის შესახებ, რომელთა მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ჩათვლის დოკუმენტია“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №401 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებამდე ამავე დადგენილებით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გაცემული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

39. თუ დასაბეგრ ოპერაციაზე გამოწერილია კომპიუტერული წესით ამობეჭდილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (შემდგომში კსაფ-ი) და აღნიშნულ დასაბეგრ ოპერაციაზე დადგა დღგ-ის თანხის კორექტირების გარემოება, იწერება 2021 წლამდე მოქმედი ამ ინსტრუქციის 56-ე მუხლით გათვალისწინებული კსაფ-ი, რომელშიც მიეთითება იმ კსაფ-ის მონაცემები (სერია, ნომერი), რომლის კორექტირებაც ხდება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გადასახადის გადამხდელს ამოწურული აქვს ნუმერაციის ველი კორექტირების კსაფ-ის გამოწერის მიზნით იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს და შემოსავლების სამსახურის მიერ მასზე უფასოდ გამოიყოფა ახალი ნუმერაციის ველი.

40. ამ ინსტრუქციის 73¹ მუხლის მე-5 პუნქტი ვრცელდება 2021 წლის 1 იანვრიდან შეძენილ/ექსპლუატაციაში მიღებულ ძირითად საშუალებებზე. 2021 წლის 1 იანვრამდე შეძენილ/ექსპლუატაციაში მიღებულ ძირითად საშუალებებზე ვრცელდება 2021 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის 9¹ ნაწილი.

41. ამ ინსტრუქციის 47¹ მუხლი ამოქმედდეს 2021 წლის 1 აპრილიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

დანართი №III-01

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი, გვარი)

საიდენტიფიკაციო ნომერი

სსკ-ის 165-ე, 57-ე მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, დამარეგისტრიროთ დღგ-ისგადამხდელად

შესაბამისი უჯრა მონიშნეთ „ V“ ნიშნით	
სავალდებულო წესი	ნებაყოფლობით

შესაბამისი უჯრა მონიშნეთ „ V“ ნიშნით
სავალდებულო წესით რეგისტრაციის გარემოება
დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცი(ებ)ის ჯამური თანხა აღემატება 100 000 ლარს;
აქციზური საქონლის მწარმოებელი პირის მიერ აქციზური საქონლის მიწოდება;
რეორგანიზაციის შედეგად;
დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პარტნიორისგან/წევრისგან შენატანის სახით საქონლის/მომსახურების მიღება;
ფიქსირებული დაწესებულების მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდება;
გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლე

გაცნობებთ, რომ წარმოვადგენ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გარდაცვლილი ფიზიკური პირის უფლებამონაცვლეს

(გვარი, სახელი)

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

პირადი ნომერი

--	--	--	--	--	--	--	--

გარდაცვალების თარიღი(რიცხვი, თვე, წელი)

*ივსება სავალდებულო წესით დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	-----/-----/-----
დღგის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის დაგვიანების შემთხვევაში, განცხადებით მომართვის თვეში რეგისტრაციის გარეშე განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების (გარდა იმ გათავისუფლებული ოპერაციებისა, რომელიც არ იბეგრება დღგ-ით) თანხა	----- ლარი

შენიშვნა: დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის პერიოდზე დღგ-ის დეკლარაციების წარდგენის შემთხვევაში პირი დაჯარიმდება მხოლოდ სსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით.

განმცხადებლის ხელმოწერა -----
(თარიღი)

დანართი №III-03

.....
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)
.....
(გადასახადის გადამხდელის დასახელება/სახელი, გვარი)
.....
(საიდენტიფიკაციო ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

- გთხოვთ, გამოიუქმეთ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია
- საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაციის გამო
 - „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების გამო
 - სსკ-ის 165¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად
 - სსკ-ის 165¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი - საგადასახადო ორგანოს ინიციატივა)
 - სსკ-ის 165¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული ინსტრუქციის 47-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

(საჭირო უჯრა აღნიშნეთ „V“ ნიშნით)

განმცხადებლის ხელმოწერა
თარიღი

ტელესაკომუნიკაციო მომსახურება

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის VI კარის მიზნებისათვის, ტელესაკომუნიკაციო მომსახურება ნიშნავს მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერი სახის სიგნალების, სიტყვების, გამოსახულებებისა და ბგერების ან ინფორმაციის გადაცემასთან, გამოცემასთან ან მიღებასთან სადენით, რადიოთი, ოპტიკურად ან სხვა ელექტრომაგნიტური სისტემებით, ასეთი გადაცემის, გამოცემის ან მიღებისათვის საჭირო სიმძლავრის გამოყენებასთან დაკავშირებით უფლების გადაცემის ან მინიჭების ჩათვლით, გარდა გლობალურ საინფორმაციო ქსელებზე დაშვების უზრუნველყოფისა, კერძოდ ტელესაკომუნიკაციო მომსახურებები მოიცავს: ა) ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო მომსახურებას ხმის, ინფორმაციის და ვიდეოგამოსახულების გადაცემის და კომუტაციის მიზნით, გამოსახულების კომპონენტის შემცველი სატელეფონო მომსახურების ჩათვლით (ვიდეოფონის მომსახურება); ბ) ინტერნეტის მეშვეობით გაწეულ სატელეფონო მომსახურებას „ინტერნეტით მიწოდებული ხმის პროტოკოლის“ ჩათვლით (VoIP); გ) ხმოვან ფოსტას, ლოდინის რეჟიმს, ზარის გადამისამართებას, ზარის იდენტიფიკაციას, სამხმრივ ზარს და ზარის მართვის სხვა სერვისებს; დ) საპეიჯერო მომსახურებას; ე) აუდიოტექსტის მომსახურებას; ვ) ფაქსს, ტელეგრაფს, ტელექსს; ზ) ინტერნეტ-წვდომას „გლობალური ქსელის“ ჩათვლით; თ) კერძო ქსელურ კავშირებს, რომლებიც ექსკლუზიური სატელეკომუნიკაციო კავშირით უზრუნველყოფენ მომხმარებელს.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის VI კარის მიზნებისათვის, ტელესაკომუნიკაციო მომსახურებას არ მიეკუთვნება: ა) ელექტრონულად გაწეული მომსახურება; ბ) რადიო და ტელემაუწყებლობის (შემდგომში „მაუწყებლობის“) მომსახურება.

რადიო და ტელესამაუწყებლო მომსახურება

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის VI კარის მიზნებისათვის, რადიო და ტელესამაუწყებლო მომსახურება მოიცავს აუდიო და აუდიოვიზუალური კონტენტისგან შემდგარ მომსახურებას, როგორიცაა რადიო და ტელეპროგრამები, რომელთა მიწოდება ფართო საზოგადოებისთვის საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით და მედიამომსახურების მიმწოდებლის სარედაქციო პასუხისმგებლობით ხდება, პარალელურ რეჟიმში მოსმენის ან ყურების მიზნით, პროგრამის საფუძველზე.
2. კერძოდ, პირველი პუნქტი მოიცავს: ა) რადიო და ტელექსელით გადაცემულ ან რეტრანსლირებულ რადიო და სატელევიზიო პროგრამებს; ბ) ინტერნეტით ან მსგავსი ელექტრონული ქსელით (ნაკადური მულტიმედია) გავრცელებულ რადიო და სატელევიზიო პროგრამებს, თუ მათი გადაცემა რადიო და ტელექსელით გადაცემის ან რეტრანსლირების პარალელურად ხდება.
3. პირველი პუნქტი არ მოიცავს: ა) სატელეკომუნიკაციო მომსახურებას; ბ) ელექტრონული გზით გაწეულ მომსახურებას; გ) ინფორმაციის მიწოდებას კონკრეტული ფასიანი პროგრამების შესახებ; დ) სამაუწყებლო ან რეტრანსლირების უფლებების გადაცემას; ე) ტექნიკური აღჭურვილობის ან შენობა-ნაგებობების იჯარით გადაცემას მაუწყებლობის მისაღებად; ვ) ინტერნეტით ან მსგავსი ელექტრონული ქსელით (ნაკადური მულტიმედია) გავრცელებულ რადიო და სატელევიზიო პროგრამებს, თუ მათი გადაცემა რადიო და ტელექსელით გადაცემის ან რეტრანსლირების პარალელურად არ ხდება.

ელექტრონულად გაწეული მომსახურება

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ელექტრონულად გაწეული მომსახურება არის მომსახურება, რომელიც გაიწევა ინტერნეტით ან ელექტრონული ქსელით, რომლის მიწოდებაც არსებითად ავტომატიზირებულია, მინიმალურად საჭიროებს ადამიანის ჩარევას და მისი მიწოდება შეუძლებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების გარეშე, კერძოდ:

ა) ციფრული პროდუქციის მიწოდებას ზოგადად, პროგრამული უზრუნველყოფის და მისი ცვლილებების და განახლების ჩათვლით;

ბ) მომსახურებას, რომელიც უზრუნველყოფს ან ხელს უწყობს ელექტრონულ ქსელში საქმიან ან პირადი მიზნებისთვის ყოფნას, როგორიცაა ვებსაიტი ან ვებგვერდი;

გ) მომსახურებებს, რომლებიც ავტომატურად გენერირდება კომპიუტერიდან ინტერნეტის ან ელექტრონული ქსელის მეშვეობით, მიმღების მიერ განსაზღვრული მონაცემების შეტანის საპასუხოდ;

დ) გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ საქონლის ან მომსახურების იმ ინტერნეტგვერდზე სარეკლამო განთავსების უფლების გადაცემა, რომელიც ონლაინ-მარკეტის სახით ფუნქციონირებს, რომელზეც პოტენციური მიმღებლები თავიანთ შეთავაზებებს ავტომატიზირებული პროცედურის მეშვეობით განათავსებენ და რომელზეც მხარეებს კომპიუტერის მიერ ავტომატურად გენერირებული ელექტრონული ფოსტის შეტყობინების მეშვეობით ეცნობებათ გაყიდვის შესახებ;

ე) ინფორმაციის ინტერნეტ-მომსახურების პაკეტები (ISP), სადაც ტელეკომუნიკაციების კომპონენტი დამხმარე და დაქვემდებარებული ნაწილია (ე.ი. პაკეტები, რომლებიც ცილდება უბრალო ინტერნეტ დაშვებას და მოიცავს სხვა ისეთ ელემენტებს, როგორიცაა კონტენტის გვერდები, რომლებიც იძლევა დაშვებას ახალ ამბებთან, ამინდის ან მოგზაურობის შესახებ ინფორმაციასთან; სათამაშო პორტალები; ვებსაიტების ჰოსტინგები; ონლაინ-დებატებზე დაშვება და ა.შ.).

2. პირველი პუნქტი მოიცავს მათ შორის შემდეგ მომსახურებებს:

ა) ციფრული პროდუქტის მიწოდება, პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისა და მისი განახლებული ვერსიის მიწოდების ჩათვლით. ვებგვერდის მიწოდება, ვებჰოსტინგი, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურის დისტანციური ტექნიკური მომსახურება, კერძოდ:

ა.ა) ვებ-საიტების და ვებგვერდების ჰოსტინგი;

ა.ბ) პროგრამების ავტომატიზირებული, ონლაინ და დისტანციური ტექნიკური მომსახურება;

ა.გ) სისტემის დისტანციური ადმინისტრირება;

ა.დ) მონაცემთა ონლაინ შენახვა, სადაც სპეციფიკური მონაცემების შენახვა და გამოთხოვა ელექტრონულად ხდება;

ა.ე) მესსიერების გამოყოფილი მოცულობის ონლაინ მიწოდება.

ბ) პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება, კერძოდ:

ბ.ა) პროგრამულ უზრუნველყოფაზე წვდომა და ჩამოტვირთვა (შესყიდვების/ ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამების ან ანტივირუსული პროგრამების ჩათვლით) მათ შორის განახლებები;

ბ.ბ) ბანერული რეკლამების ბლოკირების პროგრამები, იგივე „ბანერბლოკერები“;

ბ.გ) ჩამოსატვირთი დრაივერები, როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფები, რომლებიც კომპიუტერებს უკავშირებს პერიფერულ მოწყობილობებს (როგორიცაა, მაგ., პრინტერი);

ბ.დ) ვებ-საიტებზე ფილტრების ავტომატური ონლაინ-ინსტალაცია;

ბ.ე) ბრენდმაუერების (ფაიერვოლების) ავტომატურ ონლაინ-ინსტალაციას.

გ) გამოსახულებების, ტექსტებისა და ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ:

გ.ა) სამუშაო მაგიდის (Desktop) თემებზე წვდომა ან ჩამოტვირთვა;

გ.ბ) ფოტო ან გრაფიკული გამოსახულებებზე ან სქრინსეივერებზე წვდომა ან ჩამოტვირთვა;

